კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

რუსუდანი ჯოხაძე

ჯგუფური სარჩელი და მისი დანერგვის პერსპექტივა საქართველოში

სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: გია ლილუაშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

თბილისი, 2020

ანოტაცია

სარჩელის სასამართლოში შეტანა ადამიანის დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების აღდგენის სამართლებრივი გზაა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაიცვას საკუთარი უფლებები სამართლებრივი გზით.

ნაშრომში განხილულია როგორც ზოგადად სარჩელის, ასევე ჯგუფური სარჩელის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, მისი სახეები. ნაშრომში ნაჩვენებია ჯგუფური სარჩელის დღესმოქმედი სახეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და მისი გამოყენების სამართლებრივი გზები.

ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით კანონმდებლობით არ წესრიგდება, თუმცა სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში დღის წესრიგში დადგება ამ ინსტიტუტის შემოღებისა და დანერგვის აუცილებლობა ქართულ იურისპრუდენციაში. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ამ ყველაფერს წინასწარ, კარგად მომზადებულები შევხვდეთ და ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი სრულად მოვარგოთ ქართულ სამართალს.

ჯგუფური სარჩელი ამერიკულ სამართალს უკავშირდება და სწორედ ამერიკა ითვლება ჯგუფური სარჩელის სამშობლოდ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსტიტუტი თავიდან ინგლისში წარმოიშვა. ჯგუფურ სარჩელს შეუძლია დროისა და ფინანსების მკვეთრი დაზოგვა. როდესაც ადამიანთა ჯგუფს ერთი და იგივე უფლება აქვს დარღვეული, მათ შეუძლიათ შეიტანონ ერთი სარჩელი სასამართლოში და ამით მოიგონ დრო, დაზოგონ ხარჯები, თავიდან აირიდონ სხვადასხვა გადაწყვეტილების გამოტანა ერთი და იმავე საქმეზე და ხელი შეუწყონ სწორი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას.

ნაშრომში განსახილველი საკითხის ანალიზისა და დამუშავების შედეგად ვეცადე უკეთ დამენახვებინა ჯგუფური სარჩელის არსი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და საქართველოში მისი განვითარების გზები და პერსპექტივა. ნაშრომში განხილულია სხვადასხვა ქვეყნებში ჯგუფური

სარჩელის განვითარების გზები და დღეს მოქმედი წესები. ნაშრომში ასევე მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნების მაგალითები ჯგუფური სარჩელის დანერგვისა და განვითარებისა შესახებ მისი არსის უკეთ წარმოჩენისა და დანახვისთვის.

ნაშრომი შედგება 6 ძირითადი თავისგან. ნაშრომში განხილულია სარჩელის წარმოშობისა და განვითარების ისტორია და მისი სახეები. ასევე განხილულია ჯგუფური სარჩელის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, მისი სახესხვაობები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და საქართველოში მისი განვითარების გზები და პერსპექტივა.

Annotation

Class Action and it's developing perspectives in Georgia

Rusudani Jokhadze

Filing a lawsuit in court violates or disputes a person there is a legal way to restore the right. Everyone has the right Protect your rights legally. In the work, there is discusses both the lawsuit as a whole and the group the history of the origin and development of the suit, its types. In the work, there is the current faces of the group suit are shown around the world in countries and legal ways of its use. The institute of group litigation in our country so far It is not regulated by law, although it is likely to be soon introduction of this institution will be on the agenda The necessity in Georgian jurisprudence. We have the opportunity to do this we met everything in advance, well prepared and group fully adopts the institution of the lawsuit to Georgian law. The group lawsuit is related to American law and America It is considered to be the homeland of the group suit, even though it is the institute originally originated in England. A group lawsuit can sharp saving of time and finances. When a group of people one and the same right has been violated, they can file one lawsuit in court and thus save time, save costs, avoid making different decisions on the same case and hand to promote the establishment of proper judicial practice. As a result of the analysis and processing of the issue under consideration in the work I tried to better see the essence of the group suit, its pros and cons disadvantages and ways of its development in Georgia and perspective. The work discusses grouping in different countries ways to develop a lawsuit and the rules that apply today. Also in the paper examples from different countries are given in the group lawsuit to better represent its essence of introduction and development and to see.

The work consists of 6 main chapters. The paper discusses the claim history of origin and development and its types. It is also discussed the history of the origin and

development of the group suit, its varieties in different countries of the world and Georgia its ways and prospects for development.

სარჩევი

შესავალი 7

თავი I. სარჩელის წარმოშობისა და განვითარების ისტორია 10

თავი II. სარჩელის ცნება, სახეები და კლასიფიკაცია 13

2.1 სარჩელის არსი და მისი განმარტება 13

2.2 სარჩელის სახეები 15

2.2.1 სარჩელის სახეები საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით 15

2.2.2 სარჩელის სახეები მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით 17

თავი III. ჯგუფური სარჩელი 19

3.1 ჯგუფური სარჩელის არსი და მისი განვითარების ისტორია 19

3.2 ჯგუფური სარჩელი საპროცესო სამართალში 21

3.3. თანამონაწილეობა სარჩელში და კავშირი ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტთან 24

3.3.1 სავალდებულო თანამონაწილეობა სარჩელში 25

3.3.2 ფაკულტატური თანამონაწილეობა სარჩელში 26

3.3.3 მსგავსებები და განსხვავებები ჯგუფურ სარჩელთან 29

თავი IV. ჯგუფური სარჩელი მსოფლიოს სამართლებრივ სისტემებში 33

4.1 ამერიკა 34

4.2 იტალია 37

4.3 ფინეთი 38

4.4 ავსტრია 41

4.5 ავსტრალია 42

4.6 ევროპა 45

თავი V. ჯგუფური სარჩელის დანერგვის პერსპექტივა საქართველოში 47

თავი VI.სასამართლო პრაქტიკა და გადაწყვეტილებები ჯგუფურ სარჩელთან დაკავშირებით 50

დასკვნა 55

ბიბლიოგრაფია 58

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულია ადამიანის უფლებები. კონსტიტუციის პირველი თავის მეოთხე მუხლი ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს.[1] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მესამე მუხლი საუბრობს დისპოზიციურობის პრინციპზე და ამბობს, რომ მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სარჩელის შეტანის ან განცხადების წარდგენის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ სარჩელის შეტანის შესახებ გადაწყვეტილებასაც.[2]

სასამართლო საკუთარი ინიციატივით ვერ დაიწყებს საქმის წარმოებას და ადამიანის დარღვეული უფლების დაცვას. სასამართლოში საქმის წარმოებას იწყებს არა მოსამართლე, არამედ დარღვეული უფლების მქონე ადრესატი. სარჩელში მოსარჩელემ აუცილებლად უნდა მიუთითოს დავის საგანი და საფუძველი.[3]

როგორც წესი, სასამართლოს სარჩელით მიმართავენ მაშინ, როდესაც დავა შეეხება უფლებას, ხოლო განცხადებით მიმართავენ მაშინ, როდესაც არ არსებობს მოდავე მხარეები და განმცხადებლის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ იურიდიული ფაქტის დადგენაა. შესაბამისად, როდესაც პირს სურს მეორე პირისგან რაიმე ქმედების შესრულება ან მოქმედებისგან თავის შეკავება, ან/და უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა ან ასეთი ურთიერთობის შეცვლა, მან ამისთვის სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს.[4]

---

[1] საქართველოს კონსტიტუცია, თავი I, მუხლი 4,
იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35, [20.05.2020].
[2] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 3, იხ.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=139, [03.05.2020].
[3] იხ. http://www.supremecourt.ge/question-answer/ [03.05.2020].
[4] ქ. როსტიაშვილი, „აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი“, სამაგისტრო ნაშრომი სამართლის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2019, გვ.3.

ჯგუფური სარჩელი (Class action) ქართულ სამართალში შედარებით ახალი ინსტიტუტია და შესაბამისად, ნაკლებადაა გამოკვლეული. ამერიკული ჯგუფური სარჩელი ევროპულმა კონტინენტურმა სამართალმა თავიდან უარყო, თუმცა ბოლო 10 წელია, რაც ჯგუფური სარჩელებისადმი იზრდება პოზიტიური დამოკიდებულება ევროპის მხრიდან. ჯგუფური სარჩელის ისტორია საკმაოდ დიდ დროს ითვლის. მან განვითარების საკმაო გზა გაიარა, თუმცა ეს გზა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. დღემდე იცვლება და იხვეწება ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი და უფრო და უფრო მეტი ქვეყნისთვის ხდება მისაღები და პრაქტიკული თავისი დადებითი ბუნებიდან გამომდინარე. აქედან გამომდინარე, დიდია ალბათობა, რომ მსგავსი ტიპის სარჩელებმა საქართველოშიც დიდი აქტუალურობით ისარგებლოს, განვითარდეს, დაიხვეწოს და მოერგოს ქართულ სამართალს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის განხილვა, თუ რას გულისხმობს ეს ინსტიტუტი.[5]

წარმოდგენილი თემის მიზანია ჯგუფური სარჩელის არსში გარკვევა, მისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების წარმოჩენა, ჯგუფური სარჩელის სხვადასხვა ასპექტით შესწავლა და მისი სხვადასხვა მხრიდან დანახვა. სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტში უკეთ გარკვევა და მისი დამუშავება შედარებით ღრმა ჭრილში.

კვლევის საგანია ჯგუფური სარჩელის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. რამდენად აქვს აღნიშნულ ინსტიტუტს ჩვენს ქვეყანაში განვითარების და გამოყენების შესაძლებლობა, რამდენად პრაქტიკული და გამოყენებადი იქნება აღნიშნული ტიპის სარჩელები რეალობაში. რამდენადაა შესაძლებელი აღნიშნული ინსტიტუტი მოერგოს ქართულ იურისპრუდენციას და განვითარების რა გზების დასახვა შეიძლება სამომავლოდ.

[5] დ. დოლიძე, მართლმსაჯულება და კანონი, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი N2(62)[19], 2019 წ. გვ. 76.

ნაშრომში გამოყენებული იქნება შედარებითი ანალიზის, სისტემურ - სამართლებრივი ანალიზისა და ლოგიკური მსჯელობის მეთოდები. ასევე გამოყენეული იქნება სხვადასხვა წყაროები, კონვენციები, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები, რაც საბოლოოდ მოგვცემს სრულ სურათს ჯგუფური სარჩელის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე და დაგვანახებს იმას, თუ რამდენად პრაქტიკული ან არაპრაქტიკული იქნება აღნიშნული ინსტიტუტის ქართულ სამართალში დანერგვა და განვითარება.

თავი I. სარჩელის წარმოშობისა და განვითარების ისტორია

გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ რომის სამართალი ძველი სამყაროს უდიდესი მონაპოვარია, ურომლისოდაც ალბათ წარმოუდგენელი იქნება თანამედროვე სამართლის სისტემის არსებობა.[6]

სამოქალაქო სამართლის პროცესში სარჩელის ცნება სწორედ რომის სამართლიდან მოდის. ესაა საპროცესო მოქმედება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე ითხოვს სასამართლოსგან მისი დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვასა თუ აღდგენას.[7] პირის უფლებების დაცვა სამართლის არსებობისა და სამართლებრივი სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი ფუნდამენტია. ინდივიდუალურ დონეზე სამართლებრივი მოთხოვნა ზოგადად დადგენილ წესებთან კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისობას გულისხმობს. ორ მხარეს შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტა მხოლოდ დადგენილი ზოგადსავალდებულო წესებით უნდა მოხდეს. რომაული პროცესის განსაკუთრებულობაზე კი ის განსაკუთრებული დისპოზიციურობის პრინციპი მეტყველებს, რაც სწორედ მისთვისაა დამახასიათებელი.[8]

ძველ რომში პირის დაუკმაყოფილებელი ინტერესი სარჩელის სახით ფორმდებოდა. სარჩელი (action) განიმარტებოდა, როგორც სამართლებრივი მონაწილის ერთი მხარისგან მეორე მხარისთვის წერილობით წაყენებული პრეტენზია, რომელიც დადგენილი მართლწესრიგით იყო აღიარებული. სასამართლო პროცესი იწყებოდა მოსარჩელის (actor) პრეტენზიის დასაბუთებული აღიარებით, ხოლო მოპასუხე (reus) ვალდებული იყო შეესრულებინა სასამართლოს მიერ დაკისრებული ის მოთხოვნები, რომლის შესრულებასაც მისგან მოსარჩელე მხარე ითხოვდა. იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოს გარეშე მოსარჩელე მხარე ვერ აღწევდა საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, სასამართლო აიძულებდა მოპასუხე მხარეს ვალდებულების

---

[6] მ. გარიშვილი, მ. ხოფერია, რომის სამართლის საფუძლები, თბილისი, 2010, გვ. 2.
[7] განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი,
იხ. http://gil.mylaw.ge/ka/term/538.html, [04.05.2020].
[8] მ. გარიშვილი, მ. ხოფერია, რომის სამართლის საფუძლები, თბილისი, 2010, გვ.70.

შესრულებას სამართლის ძალით. ფორმასა და შინაარსს შორის არსებული შეუსაბამობა კი სამართლებრივი სანქციით კომპენსირდებოდა. ამის მიუხედავად, ფორმით გაუთვალისწინებული ინტერესი აუცილებლად უნდა ყოფილიყო დასაბუთებული, რომ მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა მომხდარიყო.[9]

რომაულ სამართალში მატერიალურ ასპექტში სარჩელები ორ ჯგუფად იყოფოდა: სანივთო (actiones in rem) და პირად (actions in personam) სარჩელებად. გაიუსის [10] აზრით პირადი სარჩელის დროს ჩვენ მათ წინააღმდეგ გავდივართ პროცესზე, ვისაც ჩვენს სასარგებლოდ ევალება რაიმე ქმედების შესრულება ან შეუსრულებლობა ხელშეკრულებით ან დელიქტით. ანუ როდესაც რაიმე პრეტენზია გვაქვს მეორე მხარესთან, ვითხოვთ ან რაიმეს გადმოცემას, ან რაიმე ქმედების შესრულებას ან შესრულებისგან თავის შეკავებას. რაც შეეხება სანივთო სარჩელს, აღნიშნული ტიპის სარჩელი მაშინაა სახეზე, როდესაც პრეტენზია გვაქვს სხეულებრივი ნივთის კუთვნილებასა ან უფლებაზე, როდესაც გვსურს რაიმეთი სარგებლობა ან ნივთიდან ნაყოფის მიღება და სხვა. როდესაც მოსარჩელე სანივთო სარჩელს წარუდგენდა სასამართლოს, ის ამით პრეტენზიას აცხადებდა სანივთო უფლებებზე. ამ შემთხვევაში კი მოპასუხე ნებისმიერი პირი შეიძლება ყოფილიყო.[11]

სარჩელის კანონიერი ფორმით წარდგენა (Lege agere) ნიშნავდა სარჩელის სასამართლოში წარდგენას გარკვეული სიტყვებით, ანუ როდესაც სარჩელი სპეციფიკური, სამართლებრივად გამართული ტერმინებით იყო შედგენილი. კანონი, რომელსაც მოსარჩელე წარმოთქვამდა, იყო კერძო კანონი, რომელიც გამოხატავდა სუბიექტის ნების ავტონომიურობასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგადსავალდებულო წესებისადმი მისი ნების შესაბამისობას.[12]

---

[9] მ. გარიშვილი, მ. ხოფერია, რომის სამართლის საფუძლები, თბილისი, 2010, გვ.71.
[10] ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი რომაელი იურისტი. მისი ბიოგრაფიული ცნობები და ნამდვილი სახელი უცნობია, მას ეკუთვნის ნაშრომი „Institutions" და გამოკლევა Ad.Q.Mucium, რომლებიც იუსტინიანეს დიგესტებშია ციტირებული.
[11] მ. გარიშვილი, მ. ხოფერია, რომის სამართლის საფუძლები, თბილისი, 2010, გვ.72.
[12] იქვე, გვ.72.

რაც შეეხება ქართულ სამართლს, მასაც საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. უძველესი დროიდან, დაახლოებით მეხუთე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნემდე საქმის გამრჩევი პირები მსაჯულად, ბჭედ ან მოსამართლედ იწოდებოდნენ. მოსამართლეებისგან საქმის გარჩევას „ბჭობა," „სიმართლის ქნა" ან „განკითხვა" ეწოდებოდა. ქართულ სამართალში ოდითგანვე მოსამართლეებისგან სამართლიანობას მოითხოვდნენ. სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეებს „მოდავეები," ხოლო დაზარალებულ მხარეს კი „მოჩივარს" უწოდებდნენ. ქართულ სამართალშიც საკმაოდ ადრეული ხანიდან ჩნდება სარჩელის ცნება და პროცესი. მომჩივანის მიერ მოთხოვნას „სარჩელი" ან „საჩივარი" ეწოდებოდა. მხარეთა შორის ურთიერთდავას ეწოდებოდა „სარჩვლა," „ცილება" ან „ჩივილი."[13] ივანე ჯავახიშვილის აზრით კი „მეოხი" დამცველს უნდა გულისხმობდეს.[14]

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სარჩელს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ის სათავეს ჯერ კიდევ რომის სამართლიდან იღებს. დღეს სარჩელი ჩვენამდე სახეცვლილი ფორმით მოვიდა და წარმატებით გამოიყენება თანამედროვე სამართლის სისტემებში.

[13] ვ.მეტრეველი, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2003, გვ. 414-415.

[14] ივ. ჯავახიშვილის თხზულებები თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისი, 1984, გვ.354-355.

თავი II. სარჩელის ცნება, სახეები და კლასიფიკაცია

2.1 სარჩელის არსი და მისი განმარტება

პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი უფლება დაირღვა ან სადავოდაა ქცეული, უფლება აქვს მოითხოვოს აღნიშნული უფლების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. სარჩელი სამოქალაქო პროცესში განიმარტება როგორც დარღვეული თუ სადავო უფლების ან სხვა კანონიერი ინტერესის სასამართლო წესის დაცვის შესახებ მოთხოვნა, რომელიც წარმოადგენს საქმის აღძვრის საფუძველს პირველი ინსტანციის სასამართლოში.[15] სასამართლო არსებობს იმისთვის, რომ დაიცვას ფიზიკური თუ იურიდიული პირის დარღვეული უფლება. ამისათვის საჭიროა პირმა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს აღნიშნული უფლების დაცვა. სასამართლო თავისი ინიციატივით ვერ დაიწყებს საქმის წამოებას და ამა თუ იმ პირის თუ ორგანიზაციის უფლების დაცვას. სასამართლოში საქმის წარმოებას სწორედ დაინტერესებული პირები იწყებენ სარჩელისა თუ განცხადების შეტანის გზით.[16]

სარჩელში მითითებული უნდა იყოს ის სასამართლო, რომელშიც შედის სარჩელი, მოპასუხე მხარე და დავის საგანი. სარჩელი შედგენილი უნდა იყოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების დაცვითა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი ფორმის დაცვით. შესაძლებელია მოხდეს სარჩელის შეცვლა ან უკან გამოხმობა. თუ სარჩელი აკმაყოფილებს საპროცესო წინაპირობებს, ასეთი სარჩელი დასაშვებია და უნდა იქნას მიღებული წარმოებაში. სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობა

[15] სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=23690 [31.05.2020].

[16] თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი 2005, გვ. 196.

ითვალისწინებს სხვადასხვა სახის სამართალწარმოებას: ა) სასარჩელო, ბ) უდავო და გ) გამარტივებული წარმოება.[17]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს დარღვეული თუ სადავდო ქცეული უფლების დაცვის ფორმებს სარჩელისა და განცხადების სახით.[18]

სარჩელის სახით აღიძვრება სასარჩელო წარმოება, ხოლო განცხადების მეშვეობით კი უდავო და გამარტივებული წარმოება. სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებობს სამი სახის სარჩელი: მიკუთვნებითი, აღიარებითი და გარდაქმნით.[19] მიკუთვნებით, ანუ აღსრულებით სარჩელში მოთხოვნა გულისხმობს მოპასუხისათვის რაიმე ქმედების შესრულების დაკისრებას მოსარჩელის სასარგებლოდ. აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში საქმე გვაქვს უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა - არარსებობის დადგენასთან, დოკუმენტის ნამდვილობის აღიარებასთან ან დოკუმენტის სიყალბის დადგენასთან, თუ, რა თქმა უნდა, მოსარჩელეს აქვს ამისი იურიდიული ინტერესი, ხოლო გარდაქმნით სარჩელში მოთხოვნა მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლა-გარდაქმნისკენ.[20]

---

[17] თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2016, გვ. 304.

[18] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 177, https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=139, [05.05.2020].

[19] თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2016, გვ.310.

[20] სარჩელის შინაარსობრივი მოთხოვნები, იხ. https://blh.com.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%9B/?fbclid=IwAR3ZRuJUvHod40GRlK7sfHJXeJA9wnH67YRKr0mzhCGne0iXpTAQ413ENao [04.06.2020]

2.2 სარჩელის სახეები

იურისპრუდენციაში დღესდღეობით კვლავ პრობლემად რჩება სარჩელთა კლასიფიკაციის საკითხი. სარჩელის არსისა და კლასიფიკაციის თაობაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. სარჩელის კლასიფიკაციაზე საუბარი ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. „სარჩელი არის დარღვეული ან სადავო უფლების ან კანონიერი ინტერესების დაცვის მოთხოვნა.“ ეს განმარტება საშუალებას იძლევა გამოვყოთ სარჩელის კლასიფიკაციისთვის საჭირო მნიშვნელოვანი თვისებები. ტრადიციულად, სარჩელები იყოფა პროცესუალურ-სამართლებრივი (პროცესუალური მიზნით) და მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათის მიხედვით.[21]

2.2.1 სარჩელის სახეები საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით

სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში არანაკლებ ტრადიციულია სარჩელების კლასიფიკაცია პროცესუალური ნიშნით. სარჩელები, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამ მხრივ შეგვიძლია დავყოთ მიკუთვნებით, აღიარებით და გარდაქმნით სარჩელებად.[22]

ზოგიერთი მეცნიერის აზრით სახეობებად იყოფა არა სარჩელები, არამედ სამოქალაქო უფლების დაცვის ხერხები, თუმცა აღნიშნულ მოსაზრებას ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები.[23]

სარჩელის კლასიფიკაციისას გვერდს ვერ ავუვლით გარდაქმნით სარჩელებს. აღნიშნული ტიპის სარჩელები ცვლიან ან წყვეტენ სამართალურთიერთობებს სასამართლოს გადაწყვეტილების მეშვეობით და

[21] მ. ცქიტიშვილი, სარჩელების კლასიფიკაცია, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო, გვ. 1.
[22] იქვე, გვ. 3.
[23] იქვე, გვ. 3.

განახორციელებენ მოსარჩელის კანონიერი და საფუძვლიანი ცვლილებების მოთხოვნის უფლებამოსილებას. [24]

გარდაქმნით სარჩელებს აღიარებს ქართული იურისპრუდენციაც. მაგალითად, პროფესორი თენგიზ ლილუაშვილის შეხედულებით „გარდაქმნითი სარჩელები, როგორც სარჩელის ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახესხვაობა, არაა აღიარებული ყველა პროცესუალურის მიერ. ისინი თვლიან, რომ ეს სარჩელები სინამდვილეში აღიარებითი სარჩელებია."[25]

კანონის მიხედვით გარდაქმნით სარჩელებს მიეკუთვნება ისეთი ტიპის სარჩელები, რომლებიც მიმართულია არსებული სამართალდამოკიდებულების შეცვლასა და შეწყვეტისკენ. აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ მრავალი ავტორი, მათ შორის გურვინჩი[26] და დიბროვოლსკი გარდაქმნით სარჩელებს სწორედ აღიარებით სარჩელებს მიაკუთვნებდნენ.[27]

გურვინჩი გარდაქმით სარჩელს მიაკუთვნებდა გარიგების ბათილად აღიარების სარჩელს, ხოლო დობროვოლსკი კი სარჩელს მამობის დადგენის შესახებ, თუმცა ორივე სარჩელი ტიპიური აღიარებითი სარჩელია. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ პირველ შემთხვევაში სარჩელი არის უარყოფითი სარჩელი აღიარების შესახებ, ხოლო მეორე დადებითი სარჩელი აღიარების შესახებ.[28]

უარყოფითი სარჩელი აღიარების შესახებ გარდაქმნითი სარჩელისგან იმით განსხვავდება, რომ იგი მიმართულია სადავო სამართალურთიერთობის არარსებულად აღიარებაზე, დადებითი სარჩელი კი აღიარების შესახებ მიმართულია სადავო სამართალურთიერთობის არსებულად აღიარებისკენ.

---

[24] იქვე, გვ. 4.

[25] მ. ცქიტიშვილი, სარჩელების კლასიფიკაცია, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო, გვ.4.

[26] გურვიჩმა წარმოაჩინა და დაასაბუთა გარდაქმნითი სარჩელების თეორია. გარდაქმნითი სარჩელები არის ისეთი სარჩელები, რომელიც ცვლიან ან წყვეტენ სამართალურთიერთობებს სასამართლო გადაწყვეტილების მეშვეობით და განახორციელებენმოსარჩელის კანონიერი და საფუძვლიანი ცვლილებების მოთხოვნის უფლებამოსილებას.

[27] А.А Добровольский, С. А. Иваново, 1979, Основные проблемы исковой формы защиты права, Москва, Издю-во Моск ун-та.

[28] მ. ცქიტიშვილი, სარჩელების კლასიფიკაცია, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო, გვ. 5.

უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის ხერხის მიხედვით სარჩელები იყოფა მიკუთვნებით და აღიარებით სარჩელებად.[29]

2.2.2 სარჩელის სახეები მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით

დოქტრინაში განვითარებული შეხედულებების თანახმად მატერიალურ სამართალში სარჩელის ძირითად სახეებად სანივთოსამართლებრივი სარჩელები გვევლინებიან, როგორიცაა სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელები. (ეს ორი სახის სარჩელი არის საკუთრების უფლების დაცვის აღიარებული სანივთოსამართლებრივი საშუალებები.)[30] სავინდიკაციო სარჩელს მაშინ მიმართავენ, როდესაც მესაკუთრეს საკუთარ ნივთზე წართმეული აქვს მფლობელობა. ვინდიკაცია ესაა სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა ნივთის მფლობელის მიერ. როდესაც ნივთის მესაკუთრის ნების გარეშე გადადის მისი ქონება სხვის ხელში, მისგან ნივთის გამოთხოვა გარდაუვალია. აღსანიშნავია ისიც, რომ ვინდიკაციის უფლება არის მანამ, სანამ ნივთი მატერიალური სახით არსებობს და არ განადგურებულა.[31]

რაც შეეხება ნეგატორულ სარჩელს, ესეც საკუთრების დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. ასეთ დროს საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როდესაც ნივთზე უფლება არაა ჩამორთმეული, თუმცა ხდება საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი შეზღუდვა ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე. ასეთ დროს მესაკუთრეს უფლება აქვს მოსთხოვოს ხელშემშლელ პიროვნებას მსგავსი ქმედების აღკვეთა და თუ ეს შედეგს ვერ გამოიღებს, უნდა მიმართოს

---

[29] მ. ცქიტიშვილი, სარჩელების კლასიფიკაცია, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო, გვ. 7.

[30] ქ. როსტიაშვილი, აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი, სამაგისტრო ნაშრომი სამართლის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2019, გვ.6

[31] საკუთრების უფლების დაცვა, იხ. https://geolaw.wordpress.com/tag/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98/ [25.05.2020].

სასამართლოს. შესაბამისად, ნეგატორული სარჩელი გამოიყენება მაშინ, როდესაც საკუთრების უფლება ირღვევა ნივთზე საკუთრების უფლების ჩამორთმევის გარეშე.[32]

დელიქტური სარჩელი არასახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურებისკენაა მიმართული. დელიქტური სარჩელით შესაძლებელია ზიანის ანაზღაურება როგორც ნატურით, ისე ფულადი სახით, როდესაც რესტიტუცია შეუძლებელია.[33]

მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობებში სარჩელები იყოფა ა) სამოქალაქო და ბ) ადმინისტრაციულ სარჩელებად. იმის მიხედვით კი, თუ რომელი უფლებამოსილი ორგანო განიხილავს და გადაწყვეტს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სარჩელებს, ეს უკანასკნელი შესაძლოა დაიყოს ა) სამართლებრივ და ბ) საარბიტრაჟო სარჩელად, ხოლო სამოქალაქო სარჩელები, თავის მხრივ იყოფა ა) სამოქალაქო სარჩელებად, რომლებიც განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით და ბ) ადმინისტრაციულ სარჩელებად, რომლებიც, შესაბამისად, განიხილება ადმინისტრაციული წესით.[34]

---

[32] საკუთრების უფლების დაცვა, იხ. https://geolaw.wordpress.com/tag/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98/ [25.05.2020].

[33] ქ. როსტიაშვილი, აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი, სამაგისტრო ნაშრომი სამართლის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2019, გვ.7.

[34] იქვე, გვ.7-8.

თავი III. ჯგუფური სარჩელი

3.1 ჯგუფური სარჩელის არსი და მისი განვითარების ისტორია

ჯგუფური სარჩელის წარმოშობისა და განვითარების ისტორია წარმოადგენს ერთგვარი ბრძოლის ისტორიას დემოკრატიისა და სამართალწარმოების განვითარების შესახებ. კონფლიქტი მოიცავს მთავარ პრობლემას, რომელიც სწორედ ფედერალური წესების ოცდამესამე მუხლს უნდა ეხებოდეს. ისმის კითხვა, არის ჯგუფური სარჩელი მხოლოდ საპროცესო მოქმედება, თუ ერთგვარი მარეგულირებელი ინსტრუმენტი. ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტმა, თუ მას ღრმად ჩავეძიებით, შესაძლოა შექმნას ერთგვარი პრობლემები დემოკრატიული პასუხისმგებლობის თვალსაზრისით.[35]

ჯგუფური სარჩელი სპეციალურ სასარჩელო წარმოებას მიეკუთვნება. პირველად ის ინგლისში, კანცელარიის სასამართლოში წარმოიშვა რამდენიმე ასეული წლის წინ. ინგლისის სასამართლომ მოითხოვა, რომ ნებისმიერი პირი, რომელსაც ჰქონდა მატერიალური ინტერესი სადავო საქმესთან დაკავშირებით, დასახელებულიყვნენ თანამოსარჩელედ ან თანამოპასუხედ და შესაბამისად, გადაწყვეტილება მათაც შეეხებოდათ. ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში ინგლისის სასამართლომ შექმნა „მშვიდობის აქტი“ (Bill of Peace), რომლის მიხედვითაც წარმომადგენლებს უფლება ეძლეოდათ ჯგუფის სახელით შეეტანათ სარჩელი სასამართლოში. ამის საჭიროება დადგა მაშინ, როდესაც იმდენად დიდი იყო მოსარჩელეების რაოდენობა, რომ ვერ მოხერხდებოდა ყველას სარჩელის ცალცალკე განხილვა ან ამდენი ადამიანის ერთად პროცესზე დასწრება. ამ შემთხვევაში ჯგუფის წარმომადგენელს შეეძლო დაეცვა როგორც სარჩელში მონაწილე პირების ინტერესები, ისე საქმეში ჩაურთველ იმ პირთა ინტერესებიც, რომლებსაც იგივე უფლება ჰქონდათ დარღვეული.[36]

---

[35] David Marcus, University of Arizona college of law, The History Of The Modern Class Action, pg.592.

[36] გ.ლილუაშვილი,ჯგუფური სარჩელები აშშ-ში და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივა, რომან შენგელია - 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012,გვ.469.

მოგვიანებით, ჯგუფური სარჩელი უფრო განვითარებული სახით აშშ-ში იქნა ადაპტირებული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამერიკული ჯგუფური სარჩელი ევროპულმა კონტინენტურმა სამართალმა თავიდან უარყო, თუმცა უკანკასკნელი 10 წელია, რაც აღნიშნული ტიპის სარჩელებისადმი ევროპის დამოკიდებულება საკმაოდ პოზიტიური ხდება და დადებითი დინამიკისკენ იცვლება. ევროპული სამართლისთვის უკვე მისაღები ხდება ჯგუფური სარჩელის ინტიტუტი და უფრო და უფრო მეტ ქვეყანაში იკიდებს აღნიშნული ტიპის სარჩელი ფეხს და უფრო მეტად ხდება პოპულარული. [37]

1853 წელს ამერიკის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ერთი და იგივე მდგომარეობაში იყვნენ და ერთი და იგივე უფლება ჰქონდათ დარღვეული, სასამართლოებს უნდა მიეცათ უფლება წარმომადგენლებისთვის, რომ ერთი და იგივე მდგომარეობაში აღმოჩენილი პირების სახელით შეეტანათ სარჩელი სასამართლოში და ამავდროულად, სასამართლოს გადაწყვეტილება ჯგუფის ყველა წევრს შეეხებოდა.[38]

1938 წლის სექტემბერში მიიღეს კანონი ფედერალური წესების შესახებ, სადაც 23-ე მუხლი არეგულირებდა ჯგუფური სარჩელის შესახებ წესებს. აღნიშნული მუხლის შემოღებას საკმაოდ ბევრი იურისტი უჭერდა მხარს. ხოლო 1966 წელს, როდესაც უფრო მეტად გაიზარდა ამერიკაში ადამიანის უფლებების მიმართ ინტერესი, შესაბამისად, უფრო მეტად განვითარდა ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი. იმავე წელს 23-ე მუხლის სრულყოფის მიზნით აღნიშნულ მუხლში შევიდა გარკვეული ცვლილებები მისი უფრო მეტად დახვეწის მიზნით. 2005 წელს კი მიღებულ იქნა ჯგუფური სარჩელის შესახებ სამართლიანობის აქტი, რომლის ძირითად მიზანსაც სწორედ ჯგუფური წევრების ინტერესების დაცვა გახლდათ წარმომადგენლების მხრიდან.[39]

ჯგუფური სარჩელის მიმდინარე ერა 1966 წლის 1 ივნისს დაიწყო. მაშინ, როდესაც ძალაში შევიდა ფედერალური წესების 23-ე მუხლის შესწორებული

---

[37] Morgan L., Class Action: Multi-party Litigation in Germany: the KapMuG in Action, A journal devoted to Class Action Proceedings, Procedure and Legislation, Vol. VI, 2008, p. 424.

[38] გ.ლილუაშვილი,ჯგუფური სარჩელები აშშ-ში და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივა, რომან შენგელია - 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012,გვ. 469-470.

[39] იქვე გვ.470.

ვარიანტი. ბოლო წლებში ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ 23-ე მუხლს და უზენაესი სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებამ შესაძლოა შეცვალოს კიდეც დღემდე დამკვიდრებული პრაქტიკა.[40]

ისევე როგორც დღეს, წინა წლებსა თუ საუკუნეშიც არ ჰქონდა ხალხს საკმარისი ცოდნა თუ გამოცდილება, რომ სათანადოდ დაეცვათ საკუთარი უფლებები. ვერ შეჰქონდათ დამოუკიდებლად სარჩელი საკუთარი დარღვეული უფლების აღსადგენად და ამასთან ერთად, ხშირად იმდენად მცირე იყო თანხა, რომ არც უღირდათ ამ მცირე თანხისთვის დამოუკიდებელი სარჩელის აღძვრა. სარჩელის სასამართლოში შეტანა და შემდგომ სასამართლო პროცესებზე სიარული დიდ დროს, ენერგიასა და ფინანებს მოითხოვს, ბევრ უფლებადარღვეულ ადამიანს კი არ ჰქონდა არც რესურსი და არც დრო, რომ სამართლებრივად ედავათ და დაეცვათ საკუთარი თავი. სწორედ ჯგუფურმა სარჩელმა გადაწყვიტა ამ მხრივ ძალიან ბევრი ადამიანის პრობლემა.[41]

3.2 ჯგუფური სარჩელი საპროცესო სამართალში

ჯგუფური სარჩელი არის სარჩელის სახე, როდესაც ერთ-ერთი მხარე, ანუ მოსარჩელე მხარე არის ხალხის ჯგუფი, რომელთაც საერთო უფლება აქვთ დარღვეული და მოპასუხე მხარე ჰყავთ ერთი. ჯგუფური სარჩელის შეტანის დროს დაზარალებულებს ჰყავთ ერთი ან რამდენიმე წარმომადგენელი სასამართლოში. როდესაც დაზარალებული ძალიან ბევრია და მათი საერთო უფლებაა დარღვეული, იმის ნაცვლად, რომ ყველა დაზარალებულმა ცალ-ცალკე შეიტანოს სასამართლოში სარჩელი, შესაძლებელია მათ ჰყავდეთ საერთო

[40] David Marcus, University of Arizona college of law, The History Of The Modern Class Action, pg.588.
[41] გ.ლილუაშვილი,ჯგუფური სარჩელები აშშ-ში და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივა, რომან შენგელია - 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012,გვ. 470.

წარმომადგენელი და სასამართლოში შევიდეს ერთი სარჩელი, რომელსაც ეყოლება რამდენიმე ათეული ან თუნდაც ასეული მოსარჩელე.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, თუ როგორ იღებს სარჩელი ჯგუფური სარჩელის სახეს. როგორც წესი, ჯგუფურ სარჩელს საფუძველი ეყრება მაშინ, როდესაც სახეზე გვაქვს ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი საერთო უფლებაა დარღვეული. ასეთ შემთხვევაში ადვოკატს ან მათ წარმომადგენელს ჯგუფის წევრების სახელით შეაქვს სასამართლოში სარჩელი და ითხოვს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ან დარღვეული უფლების აღდგენას. ასეთ დროს ხშირია შემთხვევა, როდესაც ადვოკატი ან წარმომადგენელი მედიის საშუალებით აცხადებს, რომ სასამართლოში შედის აღნიშნული ტიპის სარჩელი და ეძებს დაზარალებულებს. საქმისთვის საჭირო ხარჯებს ადვოკატი პროცესის მსვლელობისას თავად იღებს, ხოლო საქმის წარმატებით დასრულების შემდეგ შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს და გასამრჯელოს სახით ითხოვს პროცენტს მოგებული თანხიდან, რომელსაც, როგორც წესი იხდის მოსარჩელე.[42]

ყველაზე მთავარი პრობლემა კი მაინც ისაა, უნდა მიანიჭოს თუ არა სასამართლომ სარჩელს ჯგუფური სარჩელის სტატუსი. ფედერალური სამოქალაქო საპროცესო წესების 23-ე მუხლით განისაზღვრება ის, თუ რა შემთხვევაში მიანიჭებს სასამართლო სარჩელს ჯგუფური სარჩელის სტატუსს. უფრო კონკრეტულად კი, სასამართლო აზუტებს:

1. შესაძლებელია თუ არა, რომ რეალურად არსებობდეს დაზარალებულთა დიდი რაოდენობა;
2. პირი, რომელიც ითხოვს დაზარალებულად აღიარებას, ნამდვილად მიეკუთვნება თუ არა დაზარალებულთა რიცხვს;
3. ნამდვილად არის თუ არა დაზარალებულთა იმდენად დიდი რაოდენობა, რომ მათი პროცესზე დასწრება პრაქტიკულად შეუძლებელია;

[42] იხ. http://www.classactionconnect.com/?q=node/673#class_action [03.06.2020]

4. არის თუ არა ჯგუფის ყველა წევრისთვის სამართლისა და ფაქტის საკითხი ნამდვილად საერთო თუ არა და ა.შ.[43]

თუ ამ ჩამოთვლილებიდან ერთი პირობა მაინც იქნება დარღვეული, სასამართლოს აღარ აქვს უფლება სარჩელს ჯგუფური სარჩელის სტატუსი მიანიჭოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმისდამიუხედავად, რომ სარჩელი შეტანილია ჯგუფურად და პირი არის ჯგუფური სარჩელის მონაწილე, მას მაინც შეუძლია დამოუკიდებლად შეიტანოს სარჩელი სასამართლოში იმ შემთხვევაში, თუ ის უკმაყოფილო დარჩება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების.[44]

როგორც უკვე ითქვა, ჯგუფური სარჩელი არის სარჩელის ის სახეობა, როდესაც დარღვეულია მრავალი პირის უფლება და მათი პრეტენზიები და მოსაზრებები ერთ სარჩელშია თავმოყრილი და გაერთიანებული. ჯგუფური სარჩელი საშუალებას აძლევს ასევე ადამიანებს, რომ იდავონ სამართლებრივი გზით თუნდაც მაშინ, როდესაც მათთვის დამდგარი ზიანი მცირეა ან უბრალოდ ცალკეული სარჩელის შეტანის შემთხვევაში მათ უბრალოდ არ უღირდათ სასამართლში დავა მოსალოდნელი ხარჯების გამო, თუმცა ჯგუფური სარჩელი მრავალ ადამიანს აძლევს საშუალებას იდაოს სამართლებრივად ნაკლები ფინანსური და დროის დახარჯვით. ძალიან ხშირად ჯგუფური სარჩელი არის ერთადერთი პრაქტიკული გზა უკანონო პრაქტიკის შესაჩერებლად, რომელიც უკვე დამკვიდრებულია ამა თუ იმ ქვეყანაში. სწორედ ჯგუფურმა სარჩელმა მისცა საშუალება ცალკეულ ინდივიდებს წინ აღუდგნენ მსოფლიოს ყველაზე მძლავ ინდუსტრიებს, სამართლებრივად იბრძოლონ მათ წინააღმდეგ და მოსთხოვონ მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება.[45]

---

[43] Federal Rule of Civil Procedure, Rule 23, იხ. https://www.law.cornell.edu/rules/frcp/rule_23 [02.06.2020].

[44] გ.ლილუაშვილი,ჯგუფური სარჩელები აშშ-ში და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივა, რომან შენგელია - 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012, გვ. 477

[45] იხ. http://www.classactionconnect.com/?q=node/673#class_action [03.06.2020].

ჯგუფური სარჩელი შედის სასამართლოში მაშინ, როდესაც მრავალი ადამიანის ერთი და იგივე უფლებაა დარღვეული ან შეზღუდული. შეგვიძლია გამოვყოთ ჯგუფური სარჩელის სამართალწარმოების 4 ძირითადი ტიპი:

1. ფასიანი ქაღალდების - აღნიშნული ტიპის ჯგუფური სარჩელის შეტანა, როგორც წესი, ხორციელდება ინვესტორთა ჯგუფის სახელით, რომლებიც დაზარალდნენ კომპანიის არასათანადო ქცევის შედეგად;
2. პერსონალური დაზიანება, რომელიც ხდება ჯგუფური სარჩელის საფუძველი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იმ შემთხვევასთან, როდესაც დეფექტიანმა პროდუქტმა მისი მავნე ზემოქმედების ან მრავალი გვერდითი ეფექტის გამო გამოიწვია მრავალი ადამიანის დაზიანება ან მასობრივი ინტოქსიკაცია;
3. სამომხმარებლო ჯგუფური სარჩელი - ასეთ დროს საქმე გვაქვს იმ შემთხვევასთან, როდესაც მომხმარებლები დაზარალდნენ ან დაშავდნენ კომპანიის სისტემური და არალეგალური პრაქტიკით, როგორიცაა, მაგალითად არალეგალური გადასახადების დაკისრება დაგვიანებულ გადასახადებზე, მომხმარებლების უფლბების დაცვის შეუსრულებლობა;
4. დასაქმებულების ჯგუფური სარჩელი. აღნიშნული ტიპის სარჩელები, როგორც წესი, დიდი კომპანიების თანამშრომლების სახელითაა წამოყენებული. მათი ძირითადი პრობლემები მდგომარეობს ხელფასის დაგვიანებასა ან ზეგანაკვეთური სამუშაოს აუნაზღაურებლობაში, ასევე დისკრიმინაციულ მოპყრობაში.

3.3. თანამონაწილეობა სარჩელში და კავშირი ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტთან

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდესი იცნობს თანამონაწილეობის ცნებას. 86-ე მუხლის თანახმად თანამონაწილეობა დასაშვებია მაშინ, თუ: ა) სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება, ბ) სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან, გ) სასარჩელო მოთხოვნები

ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.[46]

სარჩელში თანამონაწილეობა მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც ერთი მოსარჩელე აძღრავს სარჩელს რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ ან პირიქით, როდესაც რამდენიმე მოსარჩელე აღძრავს სარჩელს ერთი მოპასუხის წინააღმდეგ ან როდესაც რამდენიმე მოსარჩელე აღძრავს სარჩელს რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ. თანამოსარჩელეების ინტერესები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს, ისევე როგორც თანამოპასუხეების ინტერესები და სწორედ ამით განსხვავდება თანამონაწილეობა მესამე პირისაგან, რომელიც დავის საგანზე აღძრავს სარჩელს დამოუკიდებელი მოთხოვნით.[47]

თანამონაწილეობა შეიძლება იყოს სავალდებულო და ფაკულტატური (არასავალდებულო).[48]

3.3.1 სავალდებულო თანამონაწილეობა სარჩელში

თანამონაწილეობა სავალდებულოა მაშინ, როდესაც მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე შეუძლებელია ამ ურთიერთობის ყველა სუბიექტის მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვა. ყოველთვის, როდესაც დავა ეხება საზიარო საგანს, საქმეში საზიარო უფლების ყველა მესაკუთრე უნდა იქნეს ჩაბმული. იმ შემთხვევაში, თუ სავალდებულო თანამონაწილეობის დროს ყველა თანამონაწილე არ იქნება საქმეში ჩართული და სასამართლო მაინც გამოიტანს გადაწყვეტილებას, ასეთ შემთხვევაში ვერ მოხერხდება გადაწყვეტილების აღსრულება, ვინაიდან მისი კანონიერი ძალა გავრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც საქმეში იყვნენ ჩართულები.

---

[46] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 86-ე მუხლი, იხ.https://matsne.gov.ge/ka/document/download/29962/140/ge/pdf [25.05.2020].

[47] თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, „სამართალი“, 2007, გვ.162.

[48] თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი და სხვა, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი 2014, გვ. 139.

შესაბამისად, როდესაც ასეთ დროს სარჩელი არაა აღძრული საერთო უფლების მქონე ყველა თანამონაწილის ან საერთო ვალდებულების მქონე ყველა პირის მიმართ, მაშინ სასამართლომ ეს პირები საქმეში საკუთარი ინიციატივით უნდა ჩართოს.

ასევე განხილვის საგანია ისიც, თუ რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სავალდებულო თანამონაწილეობის დროს სასამართლოზე არ გამოცხადდება არც ერთი თანამონაწილე (თანამოსარჩელე ან თანამოპასუხე) ან გამოცხადდება ერთ-ერთი მათგანი. შეუძლია თუ არა ასეთ დროს სასამართლომ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება? საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე და 230-ე მუხლების თანახმად თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა არც ერთი თანამონაწილე, რომლებსაც კანონით დადგენილი წესით გაეგზავნათ შეტყობინება, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. რაც შეეხება ერთ-ერთი თანამონაწილის გამოცხადებას სავალდებულო თანამონაწილეობის დროს, ეს ნიშნავს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას, თუ შეტყობინება გაგზავნილია სსკს 77-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნათა დაცვით.

იმ შემთხვევაში კი, თუ არც ერთი თანამოსარჩელე და არც ერთი თანამოპასუხე არ გამოცხადდება სხდომაზე, სასამართლოს უფლება აქვს სარჩელი დატოვოს განუხილველად.[49]

3.3.2 ფაკულტატური თანამონაწილეობა სარჩელში

ფაკულტატური (არასავალდებულო) თანამონაწილეობა შეიძლება გამომდინარეობდეს იქიდან, რომ „სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან“, ან იქიდან, რომ „სასარჩელო მოთხოვნები

[49] თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი და სხვა, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი 2014, გვ. 140.

ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი (სსკ 86-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები).[50]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლში ვკითხულობთ შემდეგს: „რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარმოდგენილი მოთხოვნების მიღებისას სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული განხილვა უფრო მიზანშეწონილია.“

ასეთ შემთხვევაში თანამონაწილეობა გამართლებულია საპროცესო ეკონომიის პრინციპით. [51]

თანამონაწილეობისგან განსხვავდება რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის ერთ სარჩელში გაერთიანება ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ თანამონაწილეობა სარჩელების სუბიეტური გაერთიანებაა, მაშინ რამდენიმე მოთხოვნის ერთ სარჩელში გაერთიანებას ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ სარჩელების ობიექტური გაერთიანება ეწოდება. სასამართლოს შეუძლია ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა ცალკე წარმოებად გამოყოს გაერთიანებული მოთხოვნებიდან.[52]

ასევე საკითხავია ის ფაქტიც, შეუძლია თუ არა სასამართლოს ფაკულტატური (არასავალდებულო) თანამონაწილეობის დროს გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა არც ერთი მხარე ან გამოცხადდა მხოლოდ ერთი მხარე. იმ შემთხვევაში, თუ პროცესზე მხოლოდ ერთი მხარე გამოცხადდება, სასამართლოს ეძლევა უფლება გამოიტანოს ჩვეულებრივი გადაწყვეტილება მხოლოდ გამოცხადებული თანამონაწილის მიმართ, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოუცხადებელი თანამონაწილის მიმართ. რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც არც ერთი მხარე არ გამოცხადდება სასამართლო დარბაზში, ასეთ

[50] თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი და სხვა, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი 2014, გვ. 140.
[51] იქვე, გვ. 141.
[52] იქვე, გვ. 142.

დროს სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ყველა გამოუცხადებელ მხარეთა საწინააღმდეგოდ. (სსკ-ს 229-230-ე მუხლი).[53]

არასავალდებულო თანამონაწილების დროს თითოეულ თანამონაწილეს უფლება აქვს აღძრას დამოუკიდებელი სარჩელი ცალკე აღებული მოპასუხის მიმართ. შესაბამისად, არასავალდებულო თანამონაწილეობის დროს ერთ-ერთი თანამონაწილის გამოცხადება არ ნიშნავს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას. შესაბამისად, გამოუცხადებლობას უნდა მოჰყვეს ის შედეგი, რაც კანონითაა განსაზღვრული.[54]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მეორე ნაწილი ამბობს, რომ თითოეული მონაწილე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად. ეს ნიშნავს იმას, რომ მის მიერ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობით არ შეიძლება რაიმე სახის ზიანი მიადგეს პროცესის სხვა მონაწილეს. მაგალითად, ერთი თანამონაწილის მიერ სარჩელზე უარის თქმა ან სარჩელის ცნობა არ ნიშნავს სარჩელზე იგივეს სხვა თანამონაწილის მიერ.[55]

ის მოსარჩელის მიმართ, რომელიც უარს იტყვის სარჩელზე, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას და საქმის განხილვა გაგრძელდება სხვა მოსარჩელეების მიმართ. თანამონაწილეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მიანდონ მხოლოდ ერთ თანამონაწილეს. ასეთ დროს თანამონაწილე არის მხარეც და წარმომადგენელიც დანარჩენი თანამონაწილეებისა. აღნიშნული მხოლოდ თანამონაწილეობის დროსაა დასაშვები. აღსანიშნავია ისიც, რომ საქმის მხოლოდ ერთი თანამონაწილისთვის მინდობა კანონიერად უნდა გაფორმდეს. (სსკ-ს 96-ე მუხლი), ხოლო იმ თანამონაწილეს, რომელსაც საქმე აქვს მინდობილი, თავის მხრივ, უფლება აქვს აიყვანოს ადვოკატი. სასამართლო

[53] თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი და სხვა, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი 2014, გვ. 142.
[54] იქვე, გვ.142.
[55] იქვე, გვ. 142- 143.

წარმომადგენლის დანიშვნას ვერ გადაწყვეტს სიტყვიერი განცხადების საფუძველზე.[56]

თანამონაწილეები არიან ჩვეულებრივ მხარეები და სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რაც აქვთ მხარეებს.[57]

3.3.3 მსგავსებები და განსხვავებები ჯგუფურ სარჩელთან

ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ თანამონაწილეობა ძალიან ჰგავს ჯგუფურ სარჩელს, თუმცა ეს ასე არაა. რა თქმა უნდა, არის მსგავსებები, თუმცა ეს ორი ცნება უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან. თანამონაწილეობის დროს ყოველი მოსარჩელე დამოუკიდებლად გამოდის, ხოლო ჯგუფურ სარჩელში ეს პირიქითაა. ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკის ფედერალური კანონი ცალკე მუხლად არეგულირებს თანამონაწილეობას და იგი გამიჯნულია ჯგუფური სარჩელისგან, თუმცა მსგავსებები აქაც გვაქვს.

ერთ საქმეში მოსარჩელის, მოპასუხის ან ორივე მხარეზე ერთდროულად რამდენიმე პირის მონაწილეობას ეწოდება საპროცესო თანამონაწილეობა. მოსარჩელის მხარეზე მონაწილე პირებს თანამოსარჩელეები, ხოლო მოპასუხის მხარეზე მყოფ პირებს თანამოპასუხეები ეწოდებათ.[58]

მსგავსება თანამონაწილეობასა და ჯგუფურ სარჩელს შორის უფრო მეტად ისაა, რომ სსკ-ს 86-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძვლებით ჰგავს თანამონაწილეობის საფუძვლები ჯგუფური სარჩელის საფუძვლებს. ორივე შემთხვევაში მიზანი ერთია. დროისა და ხარჯების დაზოგვა, სასამართლო სხდომების შემცირება, სწორი და ადეკვატური გადაწყვეტილების გამოტანა,

[56] თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი და სხვა, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი 2014, გვ.136.
[57] იქვე, გვ.144.
[58] იქვე, გვ.144.

საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის დაჩქარება და ერთმანეთის შეუსაბამო გადაწყვეტილებების გამოტანა.[59]

სარჩელების სუბიექტური გაერთიანება სამი ფორმითაა შესაძლებელი:

1. როდესაც ერთი მოსარჩელეა რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ. ასეთ ფორმას პასიური თანამონაწილეობა ეწოდება. (Passive Streitgenossen)
2. მეორეა, როდესაც რამდენიმე თანამოსარჩელე წარუდგენს სარჩელს ერთ მოპასუხეს და ასეთ ფორმას აქტიურ თანამონაწილეობას უწოდებენ. (Aktive Streitgenossen)
3. ხოლო მესამე ფორმაა, როდესაც რამდენიმე თანამოსარჩელე რამდენიმე თანამოაპასუხეს წარუდგენს სარჩელს. აღნიშნულ ფორმას კი შერეულ თანამონაწილეობას უწოდებენ.[60]

ისევე როგორც ჯგუფურ სარჩელში შესაძლებელია მოსარჩელეების ჯგუფს ჰყავდეთ ერთი ან რამდენიმე წარმომადგენელი, ასევე თანამონაწილეობის დროსაც შესაძლებელია სასამართლოში დანარჩენი თანამონაწილეები წარმოადგინოს ერთმა თანამონაწილემ, რომელიც არის მხარეც და წარმომადგენელიც. ჯგუფური სარჩელის შემთხვევაში წარმომადგენელი შესაძლოა არ იყოს დაზარალებული ან მოსარჩელე.

რა თქმა უნდა, ერთ მხარეზე მონაწილე თანამონაწილეების ინტერესები ეწინააღმდეგება მეორე მხარეზე მონაწილე თანამონაწილეების ინტერესებს, ხოლო ერთ მხარეზე მონაწილე თანამონაწილეების ინტერესები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთის ინტერესს. სწორედ ეს განასხვავებს თანამონაწილეობას მესამე პირებისგან. მესამე პირად ჩართვის დროს მათი ინტერესი ეწინააღმდეგება როგორც მოპასუხის, ასევე მოსარჩელის ინტერესებს.[61]

თანამონაწილეობის მიზანი საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დაჩქარება, ხარჯების შემცირება, სასამართლოს სხდომების რაოდენობის შემცირება,

---

[59] გ.ლილუაშვილი,ჯგუფური სარჩელები აშშ-ში და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივა, რომან შენგელია - 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012, გვ. 469.

[60] თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი და სხვა, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი 2014, გვ. 137.

[61] იქვე, გვ. 137.

ერთმანეთის შეუსაბამო გადაწყვეტილებების გამოტანის თავიდან აცილება და სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილებების გამოტანაა. [62]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად თუ სასამართლოს წარმოებაში რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმეებია, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ წარმოებად ერთად განხილვისთვის, თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა. მოსამართლე, რომელსაც მიმართეს საქმეთა გაერთიანების შესახებ შუამდგომლობოთ, თავის წარმოებაში არსებულ საქმეებთან აერთიანებს თავის წარმოებაშივე ან სხვა მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეს, რის თაობაზეც გამოაქვს მოტივირებული განჩინება.[63]

აღნიშნული მუხლის მეოთხე ნაწილი ითვალისწინებს სასამართლოში აღძრული სხვადასხვა სარჩელების ერთ წარმოებად გაერთიანებას, თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს ერთი და იგივე მხარეები მონაწილეობენ თუ არა საქმეში.

სასამართლოში უკვე აღძრული სხვადასხვა სარჩელის გაერთიანება ერთ წარმოებად ორი პირობის ერთდროულად არსებობის დროსაა შესაძლებელი: ა) თუ გასაერთიანებელი საქმეები ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებულია (მაგალითად როდესაც საქმე ეხება ავარიის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას) და ბ) თუ საქმეთა გაერთიანებას დავის უფრო სწრაფი გადაწყვეტა და სწორი განხილვა მოყვება. [64]

მოსამართლეს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს მხოლოდ მის წარმოებაში არსებული და ასევე ამ სასამართლოში

---

[62] თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი და სხვა, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი 2014, გვ. 138.
[63] საქართველოს სამოქალაქო საპროცეოს კოდექსი, მუხლი 182 https://matsne.gov.ge/ka/document/download/29962/140/ge/pdf [27.05.2020].
[64] თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი და სხვა, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი 2014, გვ. 138.

სხვა მოსამართლესთან არსებული საქმეები, რის შესახებაც მან უნდა გამოიტანოს მოტივირებული განჩინება. საქმეთა გაერთიანების შესახებ განჩინებაზე კერძო საჩივარი არ შეიტანება.[65]

[65] თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, „სამართალი“, 2007, გვ.316-317.

თავი IV. ჯგუფური სარჩელი მსოფლიოს სამართლებრივ სისტემებში

ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი ნელ-ნელა ვითარდება, იხვეწება და უფრო და უფრო მეტი ქვეყნის კანონმდებლობაში იდებს ბინას, თუმცა აღსანიშნავია, რომ ყველა ქვეყანაში ერთნაირი სახით ვერ იქნება წარმოდგენილი. ის განიცდის გარკვეულ ტრანსფორმაციას და ერგება სხვადასხვა ქვეყნის კანონმდელობას. თუმცა უნდა ვახსენოთ ისიც, რომ ჯგუფური სარჩელი მრავალ ქვეყანაში ხდება პოპულალური და დღითიდღე იზრდება იმ ქვეყნების რიცხვი, სადაც ის დიდი პოპულარობით სარგებლობს.

1960-იან წლებში ჯგუფური სარჩელის სამართალწარმოება ფაქტიურად გაშიშვლებული იყო. სწორედ ამ დროიდან იწყება ჯგუფური სარჩელის ხანა. ამ დროს მიიღო დღევანდელი სახე ფედერალური კანონების 23-ე მუხლმა. წლების განმავლობაში იცვლებოდა და იხვეწებოდა ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი.[66] დღევანდელი ჯგუფური სარჩელი საკმაოდ საინტერესო ინსტიტუტია. იგი არ მიეკუთვნება კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემას. სწორედ ამიტომაა, რომ ევროპაში საკმაო სიფრთხილით ეკიდებიან მის გადმოტანასა და დანერგვას ევროპის მრავალ ქვეყანაში და ევროპულ სამართალწარმოებაში, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპაში იზრდება ჯგუფური სარჩელით დაინტერესებულთა რიცხვი.[67]

ქვემოთ განხილულია რამდენიმე ქვეყანა, სადაც დამკვიდრებულია ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი ან ახლა მკვიდდრდება. აღნიშნული ტიპის სარჩელების არსი ერთია, თუმცა შეიძლება იყოს გარკვეული ცვლილებები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული საკანონმდელო სისტემებიდან გამომდინარე.

---

[66] Some Remarks on Group Litigation Comparative Perspectives, Michelle Taruffo, 11 Duke J. Of Comp. & Int'l L.405.

[67] გ.ლილუაშვილი,ჯგუფური სარჩელები აშშ-ში და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივა, რომან შენგელია - 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012, გვ. 478.

4.1 ამერიკა

ჯგუფური სარჩელის თანამედროვე ერა სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებს უკავშირდება.

ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი ამერიკაში ფედერალური სამოქალაქო საპროცესო კანონებითა და ჯგუფური სარჩელის შესახებ სამართლიანობის აქტითაა დარეგულირებული. ორივე კანონის ძირითად მიზანს უფლებადარღვეული ადამიანების ინტერესების დაცვა წარმოადგენს.[68]

ჯგუფური სარჩელი ამერიკაში ფედერალური წესებითაა დარეგულირებული. სწორედ ფედერალური წესების 23-ე მუხლის პირველივე პუნქტშია საუბარი ჯგუფური სარჩელის წარდგენის წინაპირობებზე. კერძოდ კი ის, რომ ჯგუფის ერთმა ან რამდენიმე წევრმა ან ამ ჯგუფის წარმომადგენელმა შესაძლოა აღძრას სარჩელი ან სარჩელი შეიტანოს ჯგუფის წარმომადგენლის წინააღმდეგ, თუ :

1) ჯგუფი იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ საკმაოდ გართულდება ჯგუფის ყველა წევრის მონაწილეობა;
2) ჯგუფისთვის საერთოა სამართლისა და ფაქტის საკითხი
3) მხარეების წარმომადგენლის სარჩელი ანდა შესაგებელი იგივეა ჯგუფის სარჩელისა და შესაგებლის
4) მხარეთა წარმომადგენელი შეძლებს კეთილსინდისიერად და სამართლიანად დაიცვას ჯგუფის ინტერესები. [69]

ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივი სისტემის მნიშვნელოვან და ღირებულ ნაწილს შეადგენენ. ჯგუფური სარჩელები უზრუნველყოფს მრავალი ადამიანის დარღვეული უფლების ერთ სარჩელში გაერთიანებას. ჯგუფური სარჩელი საშუალებას

[68] დ. დოლიძე, მართლმსაჯულება და კანონი, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი N2(62)19, 2019 წ. გვ.76-77.
[69] https://www.law.cornell.edu/rules/frcp/rule_23 [28.05.2020].

იძლევა ერთგვაროვანი უფლების დარღვევის დროს ასობით და ათასობით ცალკე საჩივრის ნაცვლად შეტანილი იყოს ერთი სარჩელი ერთი ან რამდენიმე წარმომადგენლით.[70]

ჯგუფური სარჩელის კანონის უძველესი წინამორბედი ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო ფედერალური სამართლიანობის წესები (Federal Equity Rules), კერძოდ წესი N48, რომელიც 1842 წელს გამოქვეყნდა.[71]

1966 წლის ცვლილებებმა ჯგუფურ სარჩელთან დაკავშირებით რადიკალურად შეცვალა 23-ე მუხლი და დასაბამი მისცა თანამედროვე ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტს. დაიწერა მთელი რიგი ტრაქტატები, რომლებიც სწორედ 23-ე მუხლის გადასინჯვის შედეგად წარმოიშვა.

ჯგუფური სარჩელი დარეგულირებულია არა მხოლოდ ფედერალური წესების 23-ე მუხლით, არამედ შტატის კანონმდებლობითაც.[72]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჯგუფური სარჩელი ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობაში საკორპორაციო სამართალში მოქმედებს, თუმცა განიცდის სამოქალაქო სამართლის გავლენას. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკული ჯგუფური სარჩელები საკორპორაციო და სამოქალაქო სამართლის ერთგვარი ნაზავია.[73]

აშშ-ს აქციონერთა ჯგუფურ სარჩელთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ ინსტიტუტტთან დაკავშირებული ძირეული და მნიშვნელოვანი საკითხები აშშ-ს საპროცესო კანონმდებლობით წესრიგდება.[74]

---

[70] დ. დოლიძე, მართლმსაჯულება და კანონი, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი N2(62)19, 2019 წ. გვ.76-77.

[71] https://en.wikipedia.org/wiki/Class_action#United_States [25.06.2020].

[72] გ.ლილუაშვილი,ჯგუფური სარჩელები აშშ-ში და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივა, რომან შენგელია - 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012,გვ.471.

[73] დ. დოლიძე, მართლმსაჯულება და კანონი, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი N2(62)[19], 2019 წ. გვ. 76.

[74] იქვე, გვ.76.

ჯგუფური სარჩელი ანგლო-ამერიკულ საკორპორაციო სამართალში განიმარტება როგორც აქციონერთა ჯგუფის ერთიანი ქმედება, რომლის დროსაც ჯგუფის თითოეულ წევს მოპასუხე მხარის მიმართ აქვს დასაბუთებული პრეტენზია და სახეზე გვაქვს საერთო დარღვეული უფლება. ასეთ დროს სასამართლოს მიმართავს არა მთლიანი ჯგუფი, არამედ ერთი ან რამდენიმე წარმომადგენელი აქციონერი, რომლებიც სასამართლოზე დარღვეული უფლების მქონე ჯგუფის ინტერესებს იცავენ. შესაბამისად, ჯგუფური სარჩელით ხდება აქციონერთა უფლებების პროცესუალური დაცვა, რომლის დროსაც იდენტური ინტერესის მქონე აქციონერები ერთიანდებიან და მოითხოვენ საკუთარი დარღვეული თუ შეზღუდული უფლებების აღდგენას. ასეთ დროს სასამართლოში სარჩელი ერთ ან რამდენიმე აქციონერს შეაქვს.[75]

ლუიზიანას შტატის სამართლის მიხედვით ჯგუფური სარჩელი აქციონერთა არაპირდაპირ სარჩელთან ერთიანობაშია რეგლამენტირებული. ამ შტატის კანონმდებლობით ასევე დასაშვებია უკვე აღძრული არაპირდაპირი სარჩელი გარდაიქმნას ჯგუფურ სარჩელად იმ შემთხვევაში, თუ იმდენად მრავალრიცხოვანია მოსარჩელე მხარეთა რაოდენობა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება თითოეული მათგნისთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება. ლუიზიანას შტატის სამართლის მიხედვით ჯგუფური სარჩელის აღძვრის შემდეგ ძირითად ფიგურად სარჩელის შემტან აქციონერს განიხილავს, რომელიც თავის მხრივ ჯგუფის წარმომადგენლად მიიჩნევა. წარმომადგენელი ვალდებულია დაიცვას ჯგუფის ინტერესები და არ აქვს უფლება საკუთარი გამორჩენის მიზნით იმოქმედოს ან აწარმოოს რაიმე სახის მოლაპარაკებები ჯგუფთან შეუთანხმებლად.[76]

---

[75] დ. დოლიძე, მართლმსაჯულება და კანონი, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი N2(62)[19], 2019 წ. გვ. 77.
[76] იქვე, გვ. 78.

4.2 იტალია

იტალიაში უკვე მოქმედებს ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი. მართალია, იტალიაში არ არსებობს ზუსტად გაწერილი ზოგადი წესები ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტთან დაკავშირებით, თუმცა სასამართლოებში შედის აღნიშნული ტიპის სარჩელები და მოსამართლეები განიხილავენ ჯგუფურ სარჩელებს. იტალიაში არსებული ზოგადი წესები იძლევა იმის საშუალებას, რომ ჯგუფური სარჩელი შეტანილი და განხილული იქნას სამართლებრივად. [77]

იტალიაში დაზარალებულ მომხმარებლებს შეუძლიათ შეიტანონ ჯგუფური სარჩელი სასამართლოში, წამოაყენონ პრეტენზიები და მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება იმ კომპანიისგან თუ კომპანიებისგან, რომლებმაც ისინი დააზარალა. აღნიშნული ტიპის სარჩელები უფრო და უფრო პოპულალური ხდება იტალიაში და იზრდება ჯგუფური სარჩელების რიცხვი. იტალიის სასამართლოებში უკვე შედის არაერთი ჯგუფური სარჩელი იმ ბანკების წინააღმდეგ, რომლებიც უკანონოდ უზრდიან მომხმარებლებს პროცენტებს და სთხოვენ უკანონოდ გაზრდილი გადასახადების გადახდას. მთავრობის დღის წესრიგშია უკვე ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტის კანონმდებლობაში დანერგვა და მისი უფრო მეტად დახვეწა. იტალიაში ჯერ კიდევ 2004 წელს იყო ჯგუფური სარჩელის დანერგვის საკითხი განხილვაში სამომხმარებლო საკითხებთან დაკავშირებით. კანონი, რომელიც ჯგუფურ სარჩელს დაარეგულირებდა 2009 წლამდე არ არსებობდა, თუმცა იტალიის სამოქალაქო სამართლის პროცესს არ ეწინააღმდეგებოდა მსგავსი ტიპის სარჩელები და შესაბამისად სასამართლოები განიხილავდნენ კიდეც ჯგუფურ სარჩელებს. 2009 წლის 1 ივლისს კი ძალაში შევიდა იტალიის მომხმარებელთა კოდექსი, სადაც ჯგუფური სარჩელი რეგულირდება 140 მუხლით.[78]

---

[77] The Globalization Of Class Actions, Italian Report By Prof. Elisabetta Silvestri, pg.4.
[78] https://en.wikipedia.org/wiki/Class_action#Italy [26.06.2020].

4.3 ფინეთი

ფინეთის პარლამენტმა 2007 წლის თებერვალში მიიღო კანონი ჯგუფური სარჩელის შესახებ, რომელიც ძალაში 2008 წლის 1 ოქტომბერს შევიდა. კანონის მიღების პროცესი ფინეთში საკმაოდ გაიწელა. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს, თუმცა უშედეგოდ.[79]

შემედგომ უკვე ფინეთში ჯგუფური სარჩელის შესახებ საკითხის აქტიური განხილვა 2005 წელს დაიწყო. 2005 წლის 1 აპრილს ფინეთის იუსტიციის სამინისტროს მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, თუმცა ამ ჯგუფის მიზანი იყო არა ჯგუფური სარჩელის კანონმდებლობაში შეტანა, არამედ იმის განხილვა, იყო თუ არა ფაქტობრივი საჭიროება ჯგუფური სარჩელის საკანონმდებლო დონეზე განხილვისა. განიხილეს მისი დადებითი და უარყოფითი ასპექტები. იმ პერიოდში ევროკავშირის არაერთ ქვეყანაში იყო მსგავსი განხილვები ჯგუფურ სარჩელთან დაკავშირებით. 1990-იან წლებში ორი სხვადასხვა ჯგუფი ცდილობდა დაენერგა ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი ფინეთის სამართლებრივ სისტემაში, თუმცა აღნიშნული მცდელობა არ გადმოდგა წარმატებული. მიუხედავად იმისა, რომ საფუძველი მომზადებული იყო და ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები, აღნიშნულ ჯგუფებს საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა შეხვდათ ჯგუფური სარჩელის პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებით.[80]

2007 წლამდე, სანამ ჯგუფური სარჩელი კანონით დარეგულირდებოდა, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ამასთან დაკავშირებით, თუმცა კონსენსუსი ვერ შედგა, ვინაიდან ვერ მივიდნენ საერთო აზრამდე, საჭირო იყო თუ არა ჯგუფური სარჩელი და მისი დაკანონება სამართლებრივად. სამუშაო ჯგუფი ორად გაიყო. ერთნი ამბობდნენ, რომ საჭირო და აუცილებელი იყო ჯგუფური სარჩელის შემოღება, რადგან ის გაამარტივებდა მომხმარებლების, გარემოს დაცვითი

[79] https://ideas.repec.org/p/uca/ucapdv/152.html [27.06.2020].
[80] Introducing Class Action in Finland, An Example of lawmaking without Economic Analysis, Mikko Valimaki, December,2010, pg.1.

ორგანიზაციების, შრომითი დავების შესახებ საქმეებს, ხოლო მეორე მხარე ამბობდა, რომ ეს ერთგვარი დარტყმა იქნებოდა ბიზნეს სექტორისთვის. აღნიშნული ტიპის სარჩელების შემოღება იმოქმედებდა ბიზნესის კონკურენტუნარიანობაზე.[81]

მომხრეებთან ერთად ჯგუფური სარჩელის შემოღებას ჰყავდა საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგეც. მოწინააღმდეგეები ამბობდნენ, რომ ის სასამართლო სისტემა, რაც მაშინ იყო ფინეთში, სრულად უზრუნველყოფდა ადამიანის უფლებების დაცვას და ჯგუფური სარჩელის შემოღება უბრალოდ ზედმეტი იყო და არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენდა. ისინი ამბობდნენ, რომ მსგავსი ტიპის დავები ძირითადად არც კი მიდიოდა სასამართლომდე და სასამართლოს გარეშე წყდებოდა. მოდავე მხარეები ერთმანეთში აგვარებდნენ მსგავს პრობლემებს. ამას გარდა არსებობდა ომბუდსმენის აპარატი და სხვადასხვა მრჩეველი კომპანიები, რომლებიც მსგავს საკითხებს არეგულირებდნენ და არ იყო ჯგუფური სარჩელის შემოღება საჭირო პრაქტიკაში. ამ ყველაფერთან ერთად ფინეთს ჰქონდა შემოღებული ერთგვარი საპილოტე სისტემა, რომელიც იქნებოდა უნივერსალური დავების გადაწყვეტის საკითხში და დაზოგავდა ხარჯებს. რისკებთან ასევე განიხილებოდა ისიც, რომ იზდებოდა იურიდიული შანტაჟის რისკი. კომპანიებს მოუწევდათ უფრო მეტი ფინანსების გაღება, რაც საბოლოოდ აისახებოდა პროდუქტსა და მომსახურებაზე და გამოიწვევდა ყველაფრის გაძვირებას.[82]

საბოლოოდ, ფინეთში შეთანხმდნენ, რომ ჯგუფური სარჩელის შემოღება დადებითად აისახებოდა ფინურ სამართალზე. იმჟამად არ არსებობდა რაიმე ალტერნატივა ან ბერკეტი, რომელიც იმ ადამიანებს დაეხმარებოდა, რომელთაც საერთო უფლება ჰქონდათ დარღვეული. ჯგუფურმა სარჩელმა გაამარტივა სამართალწარმოება, ვინაიდან შესაძლებელი გახდა მრავალი პრეტენზიისა თუ მოთხოვნის ერთ სარჩელად გაერთიანება, დროისა და ფინანსების მკვეთრი

[81] იქვე, გვ. 2.
[82] Introducing Class Action in Finland, An Example of lawmaking without Economic Analysis, Mikko Valimaki, December,2010, pg.2.

დაზოგვა. ამ ყველაფერთან ერთად გამოითქვა მოსაზრება, რომ ჯგუფური სარჩელის შემოღება ერთგვარი პრევენციული მექანიზმიც კი გახდებოდა და კომპანიები თუ სხვადასხვა ჯგუფები ეცდებოდნენ თავიდან აერიდებინათ სასამართლო სხდომები და ამით შემცირდებოდა ადამიანის უფლებების ხელყოფა. ჯგუფური სარჩელი იქნებოდა ერთგვარი შემაკავებელი ბერკეტი.[83]

საბოლოო ჯამში ჯგუფური სარჩელი დამკვიდდრდა ფინურ სამართალში და საკმაო პოპულარობით სარგებლობს. ფინეთთან ერთად ჯგუფური სარჩელის შესახებ კანონი მიიღო შვედეთმა, ბრიტანეთმა და ნორვეგიამ.

[83] Introducing Class Action in Finland, An Example of lawmaking without Economic Analysis, Mikko Valimaki, December,2010, pg.2.

4.4 ავსტრია

შედარებით განსხვავებული მიდგომაა ჯგუფურ სარჩელთან დაკავშირებით ავსტრიაში. ავსტრიის კანონმდებლობა არ სცნობს ჯგუფური სარჩელის ცნებას მკაცრი გაგებით და არც კანონმდებლობითაა მკაცრად დარეგულირებული, თუმცა სასამართლოებში ბოლო წლების განმავლობაში შედის არაერთი სარჩელი, რომლებშიც დაზარალებული მხარე არის ასობით და ათასობით ადამიანი, რომელთაც საერთო უფლებები აქვთ დარღვეული.[84] აღნიშნული მეთოდი გულისხმობს იმას, რომ დაზარალებული არის არაერთი ადამიანი, ხოლო დარღვეული უფლება არის ერთი და იგივე. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს იმას, რომ მოსარჩელე არის ერთი მხარე მრავალი დაზარალებულით, ხოლო მოპასუხე არის ერთი. აღნიშნული ტიპის სარჩელები ავსტრიაში საშუალებას იძლევა, რომ დაიზოგოს ძალიან დიდი დრო. ავტრიაში ჯგუფური სარჩელი (Class Action Austrian Style) ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დაუშვებლად ცნეს, თუმცა ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ თქვა, რომ აღნიშნული ტიპის სარჩელები სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. უნდა ითქვას, რომ მრავალი დადებითი მხარისა, მაინც არის დავა იმაზე, რომ თუ საქმე საკმაოდ მაღალ ფინანსებზეა საუბარი, ხარჯი მაინც მაღალი იქნება ჯგუფური სარჩელის შეტანის დროსაც კი, თუმცა, რა თქმა უნდა, არა იმდენი, რამდენიც ცალკეული სარჩელის შეტანისას იქნებოდა. ასევე ყურადსაღებია ის ფაქტიც, თუ როგორ მოხდება მოსარჩელეების დაკმაყოფილება. ავსტრიული კანონმდებლობა ჯგუფური სარჩელის მხრივ ჯერ კიდევ დასახვეწია და ბევრი დეტალია გასათვალისწინებელი, თუმცა პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია.[85]

---

[84] https://en.wikipedia.org/wiki/Class_action#Austria [26.06.2020].

[85] Group Litigation In Austria By Alexander Klauser, pg.2.

4.5 ავსტრალია

ავსტრალიაში ბოლო 3 წელია რაც შეინიშნება ჯგუფური სარჩელების რაოდენობის ინტენსიური ზრდა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ჯგუფური სარჩელი ავსტრალიაში 1992 წელს შევიდა. ავსტრალია, ჩრდილო ამერიკის შემდეგ მეორეა, სადაც ფიქსირდება ჯგუფური სარჩელების რაოდენობის ასეთი მკვეთრი ზრდა. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სამართლებრივ საკითხში ავსტრალიას უფრო მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებს. მაგალითისთვის, მხოლოდ კალიფორნიაშია უფრო მეტი საქმე სამედიცინო დაუდევრობის საქმეებზე, ხოლო დანარჩენში ავსტრალია ლიდერობს. [86]

ბოლო დროს ავსტრალიაში ასევე გაზრდილია ჯგუფური სარჩელების შეტანა სხვადასხვა ასპექტებში. უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება ჯგუფური სარჩელები ამ ქვეყანაში და უფრო და უფრო მეტ სპექტრს მოიცავს. სარჩელები შედის პროდუქტის ვარგისიანობაზე, თამბაქოს ხარისხთან დაკავშირებულ პრობლემებზე, სასმელი წყლისა და გაზის მიმწოდებელი კომპანიების წინააღმდეგ, რომელთაც ასობით და ათასობით აბონენტი დააზარალეს. ჯგუფური სარჩელები შედის ასევე ბანკებთან დაკავშირებით, სხვადასხვა ფინანსურ კომპანიებთან და სამთავრობო უწყებებთან დაკავშირებითაც კი. ჯგუფური სარჩელისადმი ასეთი დაინტერესება და ასეთი ტიპის სარჩელების რაოდენობის ასეთი მკვეთრი ზრდა შესაძლოა ავსტრალიური კანონების უჩვეულო ბუნებასაც მივაწეროთ. [87]

ბოლო დრომდე ავსტრალიაში ერთადერთი სასამართლო, რომელიც განიხილავდა ჯგუფურ სარჩელებს და ჰქონდა შესაბამისი სამოქმედო პროცედურა, იყო უზენაესი სასამართლო. უზენაეს სასამართლოში ჯგუფური სარჩელი მოიხსენიება, როგორც წარმომადგენლობითი სამართალწარმოება (Representative Proceeding). საქმის მარეგულირებელი პროცედურა ძალაში 1992

[86] Multi-Plantiff Litigation In Australia: A Comparative Perspective, S. Stuart Clark, Christina Harris, pg.292.
[87] Multi-Plantiff Litigation In Australia: A Comparative Perspective, S. Stuart Clark, Christina Harris, pg.293.

წლის 4 მარტს შევიდა. 1992 წლამდე ავსტრალიის კანონმდებლობა არ ითვალისიწნებდა ჯგუფური სარჩელის კონცეფიას, ისევე როგორც გაერთიანებული სამეფოს კანონმდელობა. [88]

2000 წლის 1 იანვარს ვიქტორიას უზენაესმა სასამართლომ ცვლილება შეიტანა თავის კანონებში, რათა დაემატებინა ჯგუფური სარჩელის შესახებ სამართალწარმოების მუხლი. ცვლილება შევიდა ვიქტორიას უზენაესი სასამართლოს 1986 წლის კანონში და ჩაემატა ჯგუფური წარმოების (Group Proceeding) მუხლი. ავსტრალიის უზენაეს სასამართლოში ჯგუფური სარჩელის მონაწილე მხარეებს აპლიკანტი და მოპასუხე ეწოდებათ. [89]

პირველი ჯგუფური სარჩელი ავსტრალიაში 1986 წელს შევიდა ვიქტორიას უზენაეს სასამართლოში. ჯგუფური სარჩელი ეწოდებოდა სარჩელს იმ შემთხვევაში, თუ არსებობდა 3 ან მეტი პირი, რომელთაც საერთო უფლება ჰქონდათ დარღვეული. 1990 წლიდან ავსტრალიის მთავრობამ განახორციელა ცვლილებები ჯგუფური სარჩელის რეგულირებასთან დაკავშირებით. მრავალი წესი, რომლებიც იქამდე მოქმედებდა, შეეწირა ამ რეფორმას. 1990 წლის რეფორის დროს წესები არა მხოლოდ ჯგუფურ სარჩელთან დაკავშირებით, არამედ ზოგადად შეიცვალა. [90]

დღეს მოქმედი კანონების მიხედვით ავსტრალიაში ჯგუფურმა სარჩელმა უნდა დააკმაყოფილოს რამდენიმე კრიტერიუმი, რომ ის სასამართლომ წარმოებაში მიიღოს როგორც ჯგუფური სარჩელი. ესენია:

1. სულ მცირე შვიდ ადამიანს უნდა ჰქონდეს პრეტენზია ერთი და იგივე პირის ან საწარმოს წინააღმდეგ;
2. ყველა ამ პირის პრეტენზია ერთი და იგივე გარემოებებიდან უნდა იქნას წარმოშობილი;
3. ყველა ამ პირის პრეტენზია უნდა არღვევდეს ერთი და იგივე კანონს;

---

[88] იქვე, გვ.294.
[89] იქვე. გვ.295.
[90] Multi-Plantiff Litigation In Australia: A Comparative Perspective, S. Stuart Clark, Christina Harris, pg.296.

ბევრი იურისტის აზრით ავსტრალიისა და ამერიკის შეერთებული შტატებისკანონმდებლობას შორისო საკმაო მსგავსებაა. ბევრი ფიქრობს, რომ ავსტრალიური ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი დაფუძნებულია ამერიკის შეერთებული შტატების ჯგუფური სარჩელის საფუძველზე, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასე. რეალურად ძალიან ბევრი სხვაობაა ამერიკულ და ავსტრალიურ ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტებს შორის. ავსტრალიაშ თავდაპირველად ჯგუფური სარჩელი შემოიღეს მომხმარებელთა უფლებების დასაცავად. გადადგმულმა ნაბიჯმა შეიძლება ითქვას წარმატება მოუტანა ამ იდეის მატარებლებს და გაამართლა მათი ჩანაფიქრი. ეს იყო ერთგვარი გამარჯვება მომხმარებლებისთვის. თავის მხრივ ბიზნეს სექტორმაც დაინახა, რომ საჭირო იყო ცვლილებები.[91]

აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირია შემთხვევები პრაქტიკაში, როდესაც მოსარჩელეები ცდილობენ სარჩელს მიენიჭოს ჯგუფური სარჩელის კვალიფიკაცია. ავსტრალიის სასამართლოების ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებებით ჩანს, რომ ისინი ირებენ გარკვეულ პასუხისმგებლობას, რომ თავიდან იქნას აცილებული ჯგუფური სარჩელის ბოროტად გამოყენების შესაძლებობა. ავსტრალიის სასამართლოებში ბოლო დროს საკმაოდ იმატა ჯგუფური სარჩელის რაოდენობებმა. უზენაეს სასამართლოში შეტანილია არაერთი ჯგუფური სარჩელი უამრავი პრეტენზიითა და მოთხოვნით, თუმცა ავსტრალიის სასამართლოები დიდი სიფრთხილით ეკიდებიან აღნიშნულ სარჩელებს. ავსტრალიაში უახლოეს ორ-სამ წელიწადში დალაგდება და სრულად მოწესრიგდება ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი.[92]

[91] იქვე, გვ. 317.
[92] Multi-Plantiff Litigation In Australia: A Comparative Perspective, S. Stuart Clark, Christina Harris, pg.320-321.

4.6 ევროპა

ევროპაში ჯგუფური სარჩელისადმი დამოკიდებულება შედარებით ფრთხილია, თუმცა ინტერესი საკმაოდაა გაზრდილი. ეს კი გამოიწვია ეკონომიკის განვითარებამ და ამერიკაში გატარებულმა რეფორმებმა, რომლის შედეგადაც მოხდა ჯგუფური სარჩელის სისტემის სრულყოფა. ინტერესის ზრდას ხელი შეუწყო იმ ტიპის სარჩელების არსებობამაც, როდესაც ერთი მხარე უცხოელი მოსარჩელე ან მოპასუხეა. ის ფაქტი, რომ ჯგუფური სარჩელების მიმართ ევროპელი იურისტების ინტერესი მაღალია, კარგად ვლინდება ცალკეულ სტატიებში, მონოგრაფიებსა თუ სხვადასხვა კონფერენციებზე წარმოთქმულ მოსაზრებებში. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, როგორებიცაა ესპანეთი, საფრანგეთი, ფინეთი, იტალია და ა.შ. სწორედ ამ ინტერესს უნდა მივაწეროთ ჯგუფური სარჩელების დანერგვა და მათი კანონმდებლობაში გათვალისწინება. თუმცა უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ აღნიშნულ ქვეყნებში ჯგუფური სარჩელის დანერგვისას არ მომხდარა მისი სრული სახის კოპირება ამერიკული ჯგუფური სამართლის სისტემიდან. აღნიშნულმა ქვეყნებმა ეს ინსტიტუტი საკუთარ კანონმდებლობას მოარგეს.[93]

ჯგუფურ სარჩელებთან დაკავშირებით ძირითადად სარჩელები შედის ისეთ საქმეებზე, როგორებიცაა მომხმარებელტა უფლებების დაცვა, ეკოლოგიური დაბინძურება, დისკრიმინაცია და ა.შ. ნიდერლანდებში ჯგუფური სარჩელი უფრო ფართოდაა დარეგულირებული, უფრო დეტალურადაა გაწერილი და შედარებით მეტ ასპექტს მოიცავს, ვიდრე სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში. 2002 წელს შვედეთის პარლამენტის მიერ დამტკიცებული იქნება ჯგუფური სარჩელის აქტი, რომლის მიედვითაც შესაძლებელი გახდა ჯგუფური სარჩელის შეტანა და ჯგუფური პროცესის დაწყება სამოქალაქო სამართლის ყველა სფეროში. დანია გახდა პირველი ევროპული ქვეყანა, რომელმაც სრულად გადმოიღო ამერიკული ჯგუფური სარჩელის ნორმები. პოლონეთში

[93] გ.ლილუაშვილი,ჯგუფური სარჩელები აშშ-ში და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივა, რომან შენგელია - 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012,გვ.479.

2010 წელს ძალაში შევიდა კანონი ჯგუფური სარჩელის შესახებ, თუმცა ამ ქვეყანაში შეზღუდულია მისი გამოყენება და იგი გამოიყენება მხოლოდ მომხმარებელთა უფლებების დასაცავად ან პროდუქტით დაზარალებულ პირთა დასაცავად.[94]

[94] გ.ლილუაშვილი,ჯგუფური სარჩელები აშშ-ში და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივა, რომან შენგელია - 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012,გვ.479.

თავი V. ჯგუფური სარჩელის დანერგვის პერსპექტივა საქართველოში

ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი დღევანდელ ქართულ რეალობაში პრაქტიკულად არ არსებობს და არც დღის წესრიგში დგას მისი შემოღებისა და დანერგვის საკითხი, თუმცა საქართველო განვითარებადი ქვეყნების რიგშია და დიდია ალბათობა, რომ ახლო მომავალში ჯგუფური სარჩელი დიდი პოპულარობით ისარგებელებს ქართულ იურისპრუდენციაშიც.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი დიდი ხნის ისტორიას არ ითვლის მსოფლიოს მასშტაბით. მართალია ის ჯერ კიდევ მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნიდან იღებს სათავეს ინგლისში, თუმცა შედარებით სხვა სახით იყო წარმოდგენილი და მრავალი ცვლილება განიცადა დროთა განმავლობაში. რაც შეეხება მის გავრცელებას სხვადასხვა ქვეყნებში, ის ფაქტიურად წინა საუკუნეში გახდა პოპულალური და სხვადასხვა ქვეყნებში ნელ-ნელა იკიდებს ფეხს და ამკვიდრებს ახალ პრაქტიკას. ევროპულმა სამართალმა მრავალი უარყოფის შემდგომ მაინც მიიღო და დაამკვიდრა ევროპულ სამართალში ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი. შეიძლება ის სახეცვლილი სახით შევიდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, თუმცა ფაქტი ერთია, რომ მის მიმართ ინტერესი იზრდება და ახლო მომავალში არც საქართველო იქნება გამონაკლისი. ძალიან მალე დღის წესრიგში დადგება მისი შემოღების საკითხი.

რაც შეეხება საქართველოს, ალბათ უმჯობესი იქნება ცოტა შორიდან დავიწყოთ. დამოუკიდებლობა არც თუ ისე დიდი ხნის წინ მოვიპოვეთ. 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ საქართველო გახდა დამოუკიდებელი რესპუბლიკა. პირველი დამოუკიდებლობის აქტი 1918 წელს მივიღეთ. 1918 წლიდან საუკუნეზე ცოტა მეტია გასული, თუმცა ამ 100 წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა. იყო საბჭოეთი, მისი დაშლა, ცალკე ქვეყნად გამოყოფა, დამოუკიდებლობა, სამოქალაქო ომი და მრავალი სხვა. შეგვიძლია ვთქვათ, დამოუკიდებლად არსებობა არც თუ ისე დიდი ხნის წინ დავიწყეთ და

ფაქტიურად ახლიდან შეიქმნა ქართული სამართალიც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 90-იან წლებში სანთლის შუქზე იწერებოდა. ქართულმა სამართალმა ამ მცირე დროში საკმაოდ დიდი ნახტომი გააკეთა და დიდი ნაბიჯით წაიწია წინ. თუ შევადარებთ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული სამართალი განვითარების ნამდვილად კარგ საფეხურზეა.

თუმცა ამ ყველაფრიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ქართულ აზროვნებას თუნდაც მხოლოდ ძველ თაობაში მაინც გასდევს წითელ ხაზად საბჭოთა აზროვნება, რაშიც იგულისხმება ის, რომ საბჭოთა სოციალისტურ ქვეყნებში აკრძალული იყო კერძო საკუთრების ქონა, ვერ იდავებდი კერძო ქონებაზე, არ არსებობდა შრომითი უფლებები. ყველა ვალდებული იყო ემუშავა კოოპერატივისთვის. ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი ვერ განვითარდებოდა საქართველოს უახლოეს წარსულში ამ და სხვა მრავალი მიზეზისდა გამო. საზოგადოება არ იყო მზად ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტისთვის, ვინაიდან ბევრმა არც იცოდა საკუთარი უფლებები თუნდაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თუმცა ახლა, როდესაც ხალხმა უკვე იცის საკუთარი უფლებები, იცის, რომ მათ შეუძლიათ ნებისმიერ დარღვეულ თუ შელახულ უფლებაზე მიმართონ სასამართლოს და იდაონ სამართლებრივად, როდესაც არც თუ ისე მცირეა შემთხვევები შრომით დავებზე, ზეგანაკვეთურ შრომასა თუ შეუსაბამო ანაზღაურებაზე, მრავალი კომპანია არღვევს თავისი თანამშრომლების უფლებებს, მრავალი საქმეა ეკოლოგიასთან დაკავშირებულ დავებზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში ნამდვილად საჭირო გახდება ქართულ რელობას მორგებული ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტის შემოღება.

დღევანდელი რეალობით კი შეიძლება ითქვას, რომ ამ მოცემულობით საქართველოში დღის წესრიგში არ დგას ჯგუფური სარჩელის დანერგვის საკითხი, თუმცა ვინაიდან ჩვენი ქვეყანა განვითარებადი ქვეყნების რიგში შედის, მომავალში დიდი ალბათობით ჩვენთანაც დიდი პოპულარობით ისარგებლებს ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი. ჩვენ გვეძლევა ძალიან კარგი შესაძლებლობა,

რომ სხვა ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით შემოვიღოთ და დავნერგოთ ჩვენთვის მისაღები და გამოსაყენებელი ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი. ჯგუფური სარჩელი არ იყო დიდად პოპულალური კონტინენტური ევროპის ქვეყნებში. მან, როგორც ზემოთ ვახსენეთ, სათავე ინგლისში აიღო და ამერიკაში განვითარდა. ჯგუფური სარჩელი მაინც ამერიკის შეერთებულ შტატებს უკავშირდება, რადგან სწორედ აქ განვითარდა და მიიღო ის სახე, რაც დღეს აქვს. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპის მრავალ ქვეყანაში უკვე გახდა საკმაოდ პრაქტიკული და გამოსაყენებელი აღნიშნული ინსტიტუტი, ბევრგან კი სწორედ ახლა იკიდებს ფეხს და ვითარდება. საქართველო განვითარებადი ქვეყნების რიგშია. ინდუსტრიის უფრო მეტად განვითარებასთან ერთად კი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი გახდება ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი და უკეთესი იქნება თუ ამ ყველაფერს მომზადებული შეხვდება ქართველი საზოგადოება და ქართული იურისპრუდენცია. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს განვითარებადი ქვეყნის როლი გამოვიყენოთ დროის მოგებისთვის და მანამ, სანამ ჩვენს ქვეყანაში დადგება ჯგუფური სარჩელის შემოღება აუცილებელი და მეტად პრაქტიკული, გამოვიკვლიოთ, გავეცნოთ და გავიაზროთ სხვა ქვეყნების მაგალითებს, გადავხედოთ ჯგუფური სარჩელის წარმოშობისა და განვითარების ისტორიას და სხვა ქვეყნების პრაქტიკიდან გამომდინარე ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი მოვარგოთ ქართულ სამართალს. [95]

[95] გ.ლილუაშვილი,ჯგუფური სარჩელები აშშ-ში და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივა, რომან შენგელია - 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012, გვ.480.

თავი VI.სასამართლო პრაქტიკა და გადაწყვეტილებები ჯგუფურ სარჩელთან დაკავშირებით

ჯგუფური სარჩელი წარმოადგენს ამერიკულ სამართლებრივ სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს დაზარალებულ პირთა დახმარებას, კომპენსაციების გაცემას, საერთო იურიდიული ინტერესის მქონდე პირების დაკმაყოფილებას და სხვა. მისი მიზანია დროისა და ფინანსების დაზოგვა და მსგავსი მნიშვნელობის საქმეებზე სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანის დაუშვებლობა.[96]

ჯგუფურ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია.

ერთ-ერთი ასეთი საქმე ეხებოდა ხუთ პაციენტს, რომლების მკურნალობდნენ რევმატოიდულ ართრიტზე და იყენებდნენ ერთ-ერთი ფირმის მედიკამენტს და გარდაიცვალნენ პნევმონიით მას შემდეგ, რაც აღნიშნული პრეპარატი გამოვიდა იაპონიაშიც. აღნიშნული მედიკამენტი პირველად 1998 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოჩნდა, თუმცა შემდგომ იგი სწრაფად გავრცელდა მსოფლიოს 70 ქვეყანაში. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ათი ადამიანი გარდაიცვალა ამ მედიკამენტის მიღების შედეგად გამოწვეული პნევმონიით. პაციენტების საკმაოდ დიდ ნაწილს დაუზიანდა ღვიძლი. გარდაცვლილთა და დაავადებულტა ასაკი 57-დან 71 წლამდე მერყეობდა. წამლის მწარმოებელმა კომპანიამ განაცხადა, რომ გამოიკვლევდა შედეგებს და დაადგენდა, თუ რატომ დადგა გარდაცვალება აღნიშნული პრეპარატის მიღების შემდგომ. [97]

სასამართლოში კვლავ შევიდა მედიკამენტთან დაკავშირებული. საქმე ეხებოდა პრეპარატ ბაიკოლს (Baycol), რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ცერივასტატინი. პრეპარატის გაყიდვები 1999 წელს დაიწყო და გამოიყენებოდა

[96] https://www.classaction.org/learn/lawsuits-overview [27.06.2020].
[97] https://www.japantimes.co.jp/news/2004/01/28/national/arthritis-drug-tied-to-five-deaths/ [27.06.2020].

მომატებეული ქოლესტერინის სამკურნალოდ. თუმცა ძალიან მალე, 1999 წლის ბოლოს მწარმოებელმა კომოანიამ შეამცირა წარმოებული მედიკამენტის რაოდენობა, რადგან პაციენტებს გამოუვლინდათ არაერთი გვერდითი ეფექტი. მედიკამენტის გამოშვებიდან ორ წელიწადში საკმაოდ ბევრი პაციენტი უჩიოდა თირკმელების სერიოზულ დაზიანებას და გარდაიცვალა 52 ადამიანი. 2002 წელს კი აღნიშნული მედიკამენტით 100 ადამიანზე მეტი იყო გარდაცვლილი. კომპანია არ წყვეტდა მედიკამენტის წარმოებას და ამბობდა, რომ ეს შედეგები ექიმების დაუდევრობის შედეგად დადგა, რადგან ექიმები წამალს არ იყენებდნენ წესის მიხედვით. კომპანის შეუწყვიტეს მედიკამენტის წარმოების უფლება. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული მედიკამენტის მიღება იწვევს დამბლას, კუნთების მოდუნებას და უეცარ სიკვდილსაც კი. ის პაციენტები, რომლებიც აღნიშნულ მედიკამენტს გადაურჩნენ, ხანგრძლივი მკურნალობის კურსი დასჭირდათ და ჯანმრთელობა საკმაოდ შეერყათ. სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, რომ ამ წამალს დაახლოებით ექვსი მილიონი ადამიანი მოიხმარდა და გაყიდვებით შემოსულმა თანხამ 600 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. 2002 წლის სექტემბერში შევიდა სარჩელი, სადაც მოსარჩელეები ითხოვდნენ კომპენსაციას და ზიანის ანაზღაურებას. სასამართლომ დააკმაყოფილა დაზარალებულთა სარჩელი. ერთ-ერთ დაზარალებულს კომპენსაციის სახით 100 მილიონი დოლარი ერგო.[98]

კიდევ ერთი სარჩელი შევიდა სასამართლოში მედიკამენტთან დაკავშირებით. ცელობრექსი (Celobrex) გავრცელებული იყო როგორც არასტეროიდული, ანტების საწინააღმდეგო პრეპარატი.[99] ცელობრექსმა გამოიწვია გულსისხლძარღვთა დაავადებები და გაზარდა ინსულტისა და გულის შეტევების რისკი პაციენტებში. კომპანიას მოუწია დაახლოებით 894

[98] https://www.nytimes.com/2003/02/22/business/papers-indicate-that-bayer-knew-of-dangers-of-its-cholesterol-drug.html [27.06.2020].
[99] https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3303994/ [27.06.2020].

მილიონი აშშ დოლარის გადახდა დაახლოებით 7000 დაზარალებული ადამიანისთვის. [100]

ასევე ჯგუფური სარჩელი შევიდა სასამართლოში მედიკამენტ მერიდიასთან (Meridia) დაკავშირებით. პრეპარატი წარმოებაში თავდაპირველად 1997 წლის ნოემბერში ჩაუშვეს. პრეპარატი წონაში დასაკლებად გამოიყენებოდა და ფინანსურად საკმაოდ მომგებიანი იყო. მსგავსი ტიპის მედიკამენტები ბაზარზე ყოველწლიურად საშუალოდ რამდენიმე მილიარდიან მოგებას ქმნიან. როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, მიის გამოშვებიდან ის დაახლოებით რვა მილიონმა ადამიანმა მოიხმარა. მხოლოდ აშშ-ში არნიშნული მედიკამენტით გარდაცვალების 29 შემთხვევა დაფიქსირდა, 397 ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება. პირველი საჩივარი 2002 წლის მარტში შევიდა. შემდგომ კი, იმავე წლის ივნისში შევიდა ჯგუფური სარჩელი ამ მედიკამენტით დაზარალებულ პირთა სახელით.[101]

სარჩელი ვოლ-მარტის (Wal-Mart) წინააღმდეგ ერთ-ერთი გახმაურებული საქმე გახდა სამოქალაქო უფლებების დაცვის სფეროში. აღნიშნულ კომპანიას ბრალი ედებოდა ქალების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობაში. პრობლემა იყო ხელფასების გადახდის, სამუშაო საათების და ტრენინგების საკითხშიც კი. სარჩელში მოსარცელეთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. სარჩელები შევიდა 2001,2012 და 2017 წლებში. 2012 წელს დაახლოებით 2000 თანამშრომელმა ქალმა შეიტანა ამ კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი, თუმცა კომპანია თავს დამნაშავედ არ ცნობს.[102]

სერზონი (Serzone) არის ანტიდეპრესანტი. ის პირველად აშშ-ს ბაზარზე გამოჩნდა. იყო საშიშროება, რომ მომხმარებლებს სერიოზული პრობლემა შეექმნებოდათ ღვიძლზე, თუმცა ეტიკეტზე არანაირი გაფრთხილება არ იყო. გარკვეული დროის შემდეგ, იძულებითი წესით ეტიკეტე გაჩნდა წარწერა, რომ

[100] https://www.seegerweiss.com/drug-injury/celebrex/ [27.06.2020].
[101] https://www.phillipslaw.com/meridia-side-effects-lawsuit [27.06.2020].
[102] https://www.business-humanrights.org/en/walmart-lawsuit-re-gender-discrimination-in-usa?page=3 [27.06.2020].

შესაძლოა მედიკამენტს გამოეწვია პრობლემა ღვიძლთან დაკავშირებით. ერთ თვეში მწარმოებელ კომპანიას მოსთხოვეს, რომ ამოეღო სიტყვა „შესაძლოა“, თუმცა უშედეგოდ. აშშ-შ ბაზარზე აკრძალვასთან ერთად ამ მედიკამენტის გაყიდვა აიკრძალა კანადასა და ევროპაშიც. დაზარალებულთა რიცხვი საკმაოდ დიდი აღმოჩნდა და 2005 წელს შევიდა სასამართლოში სარჩელი. მოსარჩელე იყო 6000 ადამიანზე მეტი და ითხოვდნენ ჯამში 70 მილიონი აშშ დოლარის კომპენსაციის გადახდას. მედიკამენტი ბაზრიდან გაიტანეს, თუმცა კომპანიის წინააღმდეგ სამართლებრივი ბრძოლა შეწყდა.[103]

ჯგუფური სარჩელი შევიდა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, 11 სექტემბრის ტერაქტის საქმეზეც. სარჩელი აშშ-ს ფედერალურ სასამართლოში 2002 წლის 19 თებერვალს შევიდა. მოსარჩელეები ითხოვდნენ მორალური ზიანის ანაზღაურებას ყველა დაზარალებულის სახელით. სასამართლოში შევიდა 93 გვერდიანი საჩივარი. მოსარჩელეები ითხოვდნენ კომპენსაციას ერთი მილიარდი დოლარის ოდენობით და სადამსჯელო სახით 100 მილიარდი დოლარის გადახდას. მათ სურდათ ამით გაეკოტრებინათ ტერორისტული ორგანიზაციები, რომ მსგავსი რამ აღარ მომხდარიყო. მოპასუხეებად დასახელებულნი იყვნენ ოსამა ბინ ლადენი, ალ ქაიდა, თალიბები, მუჰამედ ომალი და ცხრამეტი გარდაცვლილი თავდამსხმელი. სასამართლოში სარჩელი შეიტანა შვიდმა დაზარალებულმა. მოსარჩელეები და მათი ადვოკატები ცდილობდნენ ხმა მიეწვდინათ მოპასუხე მხარისთვის და ამისთვის მათ გამოიყენეს შუა აღმოსავლეთის მედია საშუალებებიც, რადგან მათ ვერ მოახერხეს ყველა მათაგნთან პირადად დაკონტაქტება და იმის ცნობა, რომ სასამართლოში მათ წინააღმდეგ სარჩელი შედიოდა. 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად 3000 ადამიანზე მეტი დაიღუპა.[104]

რაც შეეხება საქართველოს, უახლოესი წარსულიდან, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლოში შევიდა ჯგუფური სარჩელი, ეს იყო ე.წ. „ბავშვთა სამყაროს“ საქმეზე დაზარალებულ პირთა სარჩელი, რომელთაც ხანძრის

[103] https://product-liability.laws.com/serzone-lawsuit [27.06.2020].
[104] 11 september teract, Press Release National Press club Washington, D.C. February 19, 2002.

შედეგად საარსებო წყაროები დაკარგეს, თუმცა არც ერთი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნული სარჩელი არ დააკმაყოფილა.

დასკვნა

როგორც უკვე ვახსენეთ, სარჩელის სასამართლოში შეტანა დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების აღდგენის სამართლებრივი გზაა. სარჩელის ისტორია ჯერ კიდევ ძველი რომის სამართლიდან მოდის. მან განვითარების საკმაოდ დიდი გზა განვლო. დაიხვეწა, შეიცვალა, განვითარდა და მიიღო ის სახე, რაც დღეს აქვს. დღეს მოქმედი სარჩელის სახეები განსხვავდება ერთმანეთისგან.

ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი არ ითვლის მრავალსაუკუნოვან ისტორიას. მიუხედავად იმისა, რომ ის ინგლისში ჯერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნეში არსებობდა, მისი ისტორია ფაქტიურად მაინც წინა საუკუნეში იწყება ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ინდუსტრიის უფრო მეტად განვითარებამ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნამ და მრავალი სამართალურთერთობების წარმოშობამ დღის წესრიგში დააყენა ჯგუფური სარჩელების შემოღებისა და დანერგვის საკითხი მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში. ამერიკაში თანამედროვე ჯგუფური სარჩელის ისტორია 1960-იანი წლებიდან იწყება. მისი სამშობლოც ამერიკის შეერთებული შტატებია. ამერიკიდან გავრცელდა და განვითარდა აღნიშნული ტიპის სარჩელები სხვადახვა ქვეყნებში. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჯგუფურ სარჩელს უკვე კანონმდებლობა არეგულირებს, მრავალ ქვეყანაში კი ჯერ ახლა იკიდებს ფეხს და ვითარდება. ჯგუფური სარჩელი საშუალებას იძლება დაიზოგოს დრო და ფინანსები, თავიდან იქნეს აცილებული ერთი და იმავე და მსგავს საქმეზე სხვადასხვა გადაწყვეტილების გამოტანა. ალბათ არავინ კამათობს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დღევანდელ ცხოვრებაში დროის ფაქტორი, ვინაიდან ცხოვრების ტემპი ძალიანაა აჩქარებული, ადამიანებს დღის განმავლობაში უამრავი გადაწყვეტილების მიღება უწევთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ირღვევა ძალიან ბევრი ადამიანის უფლება, იქნება ეს შრომითი, სახელშეკრულებო თუ სხვა. ჯგუფური სარჩელი კი საშუალებას იძლევა ერთი და იგივე დარღვეული უფლების მქონე ადრესატებმა შეიტანონ არა მრავალი სხვადასხვა სარჩელი სასამართლოში, რაც მოითხოვს

ბევრად მეტ ხარჯებს, დროსა და ენერგიას, არამედ სასამართლოში შევიდეს ერთი სარჩელი, რითაც ძალიან ბევრი პრობლემა მოგვარდება მარტივად მოკლე დროში და მცირე რესურსით.

მრავალი წინააღმდეგობისა და უარყოფისა, ევროპულმა სამართალმა მაინც მიიღო და დააკვიდრა ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი ევროპულ სამართალში. ევროპის მრავალ ქვეყანაში მსგავსი ტიპის სარჩელები უკვე საკმაო პოპულარობით სარგებლობს. სხვადასხვა ქვეყნებმა აღნიშნული ტიპის სარჩელები მოარგეს საკუთარ კანონმდელობებს და წარმატებით ხდება მისი პრაქტიკაში გამოყენება. ევროპა საკმაოდ ფრთხილობდა ამ ტიპის სარჩელების დანერგვის დროს. სხვადასხვა ევროპულმა ქვეყნებმა მიიღეს, დანერგეს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტს. არსებობს რამდენიმე ქვეყანა, რომლებმაც სრულად გადაიღეს ამერიკული ჯგუფური სარჩელი და მოარგეს თავის კანონმდებლობას.

რაც შეეხება საქართველოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას მისი შემოღებისა და დანერგვის საკითხი, თუმცა არც თუ ისე შორეულ მომავალში აუცილებელი გახდება ჯგუფური სარჩელის საკანონდებლო დონეზე მოწესრიგება. ჩვენ შეგვიძლია ის დრო, რაც ახლა გვაქვს, გამოვიყენოთ იმისთვის, რომ განვსაზღვროთ, თუ რა იქნება უკეთესი ჩვენი სამართლებრივი სისტემისთვის და ჯგუფური სარჩელის ინსტიტუტი სრულად მოვარგოთ ქართულ სამართალს.

ჯგუფური სარჩელის განხილვისას არ უნდა ვიფიქროთ ის, რომ ის მხოლოდ დადებითი თვისებებით ხასიათდება. იდეალური და სრულყოფილი არაფერი არ არსებობს და მასაც აქვს უარყოფითი მხარეები, რაც ზემოთ მოყვანილიცაა, თუმცა მისი პრაქტიკაში და კანონმდებლობაში დანერგვის დროს ქვეყნებს და მათ შორის საქართველოსაც საშუალება ეძლება გამოიყენონ ის ცოდნა და გამოცდილება, რაც დაგროვებულია ამ წლების განმავლობაში, გადახედონ სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობას და შეაფასონ ის სისტემა, რაც დანერგილია უკვე პრაქტიკაში და ამ ყველაფრიდან გამომდინარე შექმნან

შედარებით სრულყოფილი მოდელი სხვადასხვა ქვეყნებისთვის, რომელიც სრულად მოერგება ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობას და გაამარტივებს სამართალწარმოებას.

ბიბლიოგრაფია

1. ვ.მეტრეველი, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2003.
2. ქ. როსტიაშვილი, „აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი“, სამაგისტრო ნაშრომი სამართლის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2019.
3. დ. დოლიძე, მართლმსაჯულება და კანონი, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი N2(62)[19], 2019 წ.
4. მ. გარიშვილი, მ. ხოფერია, რომის სამართლის საფუძლები, თბილისი, 2010.
5. ივ. ჯავახიშვილის თხზულებები თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისი, 1984.
6. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი 2005.
7. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2016.
8. მ. ცქიტიშვილი, სარჩელების კლასიფიკაცია, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
9. თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი და სხვა, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი 2014.
10. გ.ლილუაშვილი,ჯგუფური სარჩელები აშშ-ში და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივა, რომან შენგელია - 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2012.
11. А.А Добровольский, С. А. Иваново, 1979, Основные проблемы исковой формы защиты права, Москва, Издю-во Моск ун-та.

12. David Marcus, University of Arizona college of law, The History Of The Modern Class Action.
13. Morgan L., Class Action: Multi-party Litigation in Germany: the KapMuG in Action, A journal devoted to Class Action Proceedings, Procedure and Legislation, Vol. VI, 2008.
14. The Globalization Of Class Actions, Italian Report By Prof. Elisabetta Silvestri.
15. Group Litigation In Austria By Alexander Klauser.
16. Multi-Plantiff Litigation In Australia: A Comparative Perspective, S. Stuart Clark, Christina Harris.
17. Some Remarks on Group Litigation Comparative Perspectives, Michelle Taruffo, 11 Duke J. Of Comp. & Int'l L.
18. Introducing Class Action in Finland, An Example of lawmaking without Economic Analysis, Mikko Valimaki, December,2010.
19. 11 september teract, Press Release National Press club Washington, D.C. February 19, 2002.

ინტერნეტ წყაროები

1. http://www.supremecourt.ge/question-answer/ [03.05.2020].
2. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, იხ. http://gil.mylaw.ge/ka/term/538.html, [04.05.2020].
3. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=23690 [31.05.2020].
4. სარჩელის შინაარსობრივი მოთხოვნები, იხ. https://blh.com.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%

83%A0%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%9B/?fbclid=IwAR3ZRuJUvHod40GRlK7sfHJXeJA9wnH67YRKr0mzhCGne0iXpTAQ413ENao [04.06.2020]

5. საკუთრების უფლების დაცვა, იხ. https://geolaw.wordpress.com/tag/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98/ [25.05.2020].
6. http://www.classactionconnect.com/?q=node/673#class_action [03.06.2020]
7. https://www.law.cornell.edu/rules/frcp/rule_23 [28.05.2020].
8. https://en.wikipedia.org/wiki/Class_action#United_States [25.06.2020].
9. https://en.wikipedia.org/wiki/Class_action#Italy [26.06.2020].
10. https://en.wikipedia.org/wiki/Class_action#Austria [26.06.2020].
11. https://ideas.repec.org/p/uca/ucapdv/152.html [27.06.2020].
12. https://www.classaction.org/learn/lawsuits-overview [27.06.2020].
13. https://www.japantimes.co.jp/news/2004/01/28/national/arthritis-drug-tied-to-five-deaths/ [27.06.2020].
14. https://www.nytimes.com/2003/02/22/business/papers-indicate-that-bayer-knew-of-dangers-of-its-cholesterol-drug.html [27.06.2020].
15. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3303994/ [27.06.2020].
16. https://www.seegerweiss.com/drug-injury/celebrex/ [27.06.2020].
17. https://www.phillipslaw.com/meridia-side-effects-lawsuit [27.06.2020].
18. https://www.business-humanrights.org/en/walmart-lawsuit-re-gender-discrimination-in-usa?page=3 [27.06.2020].
19. https://product-liability.laws.com/serzone-lawsuit [27.06.2020].

სამართლებრივი აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35, [20.05.2020].
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=139, [03.05.2020].
3. Federal Rule of Civil Procedure, Rule 23, იხ. https://www.law.cornell.edu/rules/frcp/rule_23 [02.06.2020].
4. Class action fairness act of 2005 https://www.congress.gov/109/plaws/publ2/PLAW-109publ2.pdf [09.06.2020].